საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 234 (762) ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1993 წელი ფასი 150 კუპონი.

პირველი სვეტი

ცნობები დასავლეთ საქართველოდან

სამტრედია. ბუნებრივია, ახლა ჩვენი ყურადღება დასავლეთ საქართველოსკენაა მიქცეული: როგორი ვითარებაა იქ, როდის დაუბრუნდება ეს რეგიონი ნორმალურ ცხოვრებას. სწორედ ამ შეკითხვით დაიწყო საქინფორმის კორესპონდენტის სატელეფონო საუბარი დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან, სახელმწიფო მინისტრთან **გივი ლომინაძესთან**.

— იმ რეგიონებში, სადაც სიტუაციას აკონტროლებენ სახელმწიფო ფორმირებები (მხედველობაში მყავს პოლიცია), ცხოვრება თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. მოგეხსენებათ, ომის პირობებში გართულდა კრიმინოგენური ვითარება, გახშირდა ყაჩაღობისა და მაროდიორობის შემთხვევები. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს შემთხვევები აღიკვეთოს. რაც შეეხება სენაკს, ხობს, ზუგდიდს, წალენჯიხას და ჩხოროწყუს, ყველა პირობაა შექმნილი, რათა უახლოეს დღეებში იქაც აღდგეს სახელმწიფოებრივი წესრიგი.

ახლა ჩვენი ერთ-ერთი უპირველესი მიზანია მოსახლეობის დაპურება, ნორმალური საარსებო პირობების შექმნა.

ლანჩხუთი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელმა საქართველოს დასავლეთ ზონაში **ჯონი ქარჩავამ** საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, რომ გურიის რეგიონში სტაბილური ვითარებაა. ამუშავდა გამგეობები, საწარმო-დაწესებულებები. მიმდინარეობს მოსავლის აღება, მაგრამ, საწვავის უქონლობის გამო, ფერხდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

ფოთი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის მობილური გაერთიანებული ძალების მეთაურის **რეზო გახოკიძის** ცნობით, ფოთში სიწყნარეა, ქალაქი გაწმენდილია.

ქალაქში მყარდება წესრიგი რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ შინაგანი ჯარის ნაწილები, პოლიცია.

ქუთაისი. ქალაქში სიმშვიდეა, მთელი მოსახლეობა ფეხზე დგას, შემოღებულია სადღეღამისო მორიგეობა, — თქვა ქუთაისის მერმა **თემურ შაშიაშვილმა**. — ცხვება პური, ქალაქს მიეწოდება წყალი, ელექტროენერგია, მუშაობენ საწარმო-დაწესებულებები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აფხაზეთიდან ლტოლვილები. მერიამ შექმნა მათთან მუშაობის სამეურნეო რგოლი.

დაიკავეს სენაკი

26 ოქტომბერს სამთავრობო ჯარებმა წარმატებით განახორციელეს შეტევა ქალაქ სენაკის მიმართულებით, — აცნობებს საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრში. — მათ დაიკავეს ქალაქი სენაკი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

27 ოქტომბერს საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა. ამ დროისთვის სენაკს აკონტროლებენ სამთავრობო ჯარები.

რაც შეეხება სხვა რაიონებს: ხობთან მიმდინარეობს ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიერ დანაღმული ხიდის განაღმვა.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს რესპუბლიკის"
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

შეჩერდით, გვეყო ნგრევა, მუხანათობა!

გაოგნებულ-გაოცებული შემოგვცქერის დღეს მსოფლიო და ვერ გაუგია — „ვეფხისტყაოსნის", „ჩაკრულოს", „ოდოიას", „ვეფხისა და მოყმის" პატრონ-შემოქმედი ხალხი ასე ულმობლად რატომ ვჟუჟავთ ერთმანეთს.

თავი მოგვეჭრა: ამდენი მუხანათობა, ბოღმა-ბოროტება, ამდენი სიმწარე თუ სიკვდილი, ალბათ, არ ახსოვს ჩვენს ისტორიას.

არც ამდენი გონებადაბინდული, ტახტისა და სავარძლის მაძიებელი გვყოლია ოდითგან.

მაცნე მოუვიდა თბილისს — ზუგდიდთან თუ ზუგდიდში ბარიკადებს აგებენ, უშეღავათო დახვედრას უმზადებენო „მომხვდურთ" — საქართველოდან.

ჰაი დედასა, რატომ არ გადაბრუნდებით საფლავებში ამის შემხედვარე ცოტნეებო, ჭყონდიდელებო.

მოდი და, ნუ იკივლებ: შეჩერდი, გონს მოეგე, ხალხო! აბა, რა ბარიკადა და სანგარი შეაჩერებს სამშობლოს მოღალატეთა დასათრგუნად ამოწვდილ მახვილს. ეგებ ახლა მაინც, როცა სასწორზე დევს ჩვენი დიდებული ქალაქის — ზუგდიდის ბედი, თავად ივარგოთ, ჩახვდეთ ჩასახვედრს და ზურგი აქციოთ ბოროტებას, რომელმაც ასე გააახევა, გააბოროტა თქვენი სული და ზნეობა.

გვეყო ნგრევა, სიკვდილი, სიმწარე, მუხანათობა.

შეჩერდით... გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით!..

ბოროტებას თავისი მიუზღეთ!..

იხსენით თქვენი ქალაქიც და სრულიად საქართველოც!



შეტევა გრძელდება



საქართველოს სამთავრობო ძალებმა შეუტიეს ექს-პრეზიდენტის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების პოზიციებს და გაანთავისუფლეს ქალაქი სენაკი.

გიორგი შარაშენიძის, ვანო შამანაძისა და ზონდო დვალიშვილის ფოტოკამერებმა აღბეჭდეს სამთავრობო ძალების ტანკისტთა ასეული, რომელიც ემზადება მდინარეზე გადასასვლელად და შეტევისათვის მათ წინააღმდეგ, ვინც გაყიდა თავისი სამშობლო; მეომრები მორიგი ბრძოლის შემდეგ; მესამე სურათზე კი აღბეჭდილია, თუ როგორ ტოვებენ ზვიადისტები დაკავებულ ქალაქებსა და სოფლებს, აფეთქებულ ტანკებს, თანამემამულეთა გაძარცვულ საცხოვრებელ სახლებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ცხელი წერტილიდან

ულტიმატუმის ვადა გასულია,

ანუ არძინბა აფხაზეთიდან ბოლო ქართველის გაძევებაზე ოცნებობს

— **პირველად** გამოქცეული ჯარი დაიძრა კოდორის ხეობით. ფეხდაფეხ ათიათასობით ლტოლვილი: მოხუცი, ბავშვი, დავრდომილი მიჰყვა. პირიქით ყოფილიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ ბოლო დროს ყველაფერი უკუღმა გამოგვდის. უკუღმართადაც მიგვდის საქმე. გზაში ცანაწამებ ხალხს ათასი ჯურის გარეწარი, ყაჩაღი, მაოხარი დაესხა თავს; ართმევდნენ, რისი წართმევაც შეიძლებოდა. განაიარაღებდნენ ჯარისკაცებს. მერე ყველაფერი ჩვენ, ამ ხეობის მცხოვრებთ დაგვაბრალეს. კოდორის ხეობაში ათასობით შეიარაღებულმა ჯარისკაცმა მაინც გაიარა. ამ ჯარის შემხედვარე ერთმა ჩემმა მეზობელმა მოხუცმა თქვა: „სად გარბის ამდენი ხალხი. ამათ ავტომატი კი არა, მარტო ჯოხები რომ ექნიათ, ფსოუს იქით გასცდებოდნენ. მათთვის იარაღის წართმევა აბა, როგორ უნდა გაებედათ. არც პოლიციის გამოგზავნა უნდა დასჭირებოდათ თბილისიდან, მაგრამ აქ უბედურება მაშინ დაიწყო, როცა აფხაზეთიდან ხალხს ჯარმა გამოასწრო, თუმცა ის ბიჭები, ვინც მართლა მკერდით იცავდა სოხუმს, ამ დროს თავს მტერს აკლავდა და ამ გზითაც უკანასკნელნი გამოვიდნენ ნაწამებ-გადაქანცულნი.

სხვათა შორის არც ლტოლვილებს დაუკლიათ ხელი ერთმანეთისთვის, ბევრმა მეზობელიც გასწირა, სანამ შეეძლო, აგროვა და ნაძარცვ ქონებას ულელტეხილისკენ ეზიდებოდა. მერე კი ყველაფერი ხევში იყრებოდა.

— სიმართლე გინდათ? ეს არის სიმართლე!

ეს მითხრეს კოდორის ხეობაში დარჩენილმა ბიჭებმა. ისიც მთხოვეს: — ნუ გაგვამხელ, რა ვიცით, იქნებ მავანს არ მოეწონოს ჩვენი ნათქვამი, აქედან გასაქცევი არსად გვაქვსო.

ზემო კოდორის ხეობა დღეს აფხაზეთში ერთადერთი რეგიონია, სადაც მტერი ვერ შევიდა და ქართველობაც დედაბუდიანად არ აყრილა. უჭირთ, მაგრამ ფეხი არ მოუცვლიათ აქედან, კბილებით იცავენ ხეობას, თავიანთ სოფლებსა და სახლ-კარს, თუმცა არძინბა და მისი ბანდები ყოველმხრივ უტევენ, ავიწროებენ, ემუქრებიან, ულტიმატუმს უყენებენ და ბომბებს აყრიან თავზე. თავიანთი ბარბაროსობის გასამართლებლად კი გამოლმა ედავებიან — მიმდებარე სოფლების დაწიოკებაში სდებენ ბრალს. ბიჭებს სხვის დასაწიოკებლად სად სცალიათ, როცა მათ თავად აწიოკებენ. მაგრამ აფხაზი ლიდერების განგაშისა და მუცლის ცვრემის მიზეზი ნათელია, მათ ყელში ძვალივით აქვთ გაჩხერილი კოდორის ხეობაში შემორჩენილი ქართული სოფლები.

კოდორის ხეობის დამცველებს დღეს ბევრი რამ აკლიათ, როგორც ყველგან, აქაც ჭირს მედიკამენტები. სხვა პრობლემებიც უამრავია, მაგრამ მშობლიური მიწის დაცვა ყველა გაჭირვებას დაგაძლევინებს კაცს. ხეობაში, როგორც ზემოთ ვთქვი, რამდენიმე ქართული სოფელია: ლათა, ჩხალთა, ქვემო აჯარა, ზემო აჯარა, მარჯვენა გენწვიში, მარცხენა გენწვიში, ომარიშარა და საკენი. აქ ოჯახი არ არის უპატრონოდ, უკაცოდ მიტოვებული. ვისაც იარაღის ხელში აღება შეუძლია, აქა დგას.

— გული მტკივა, — გენწვიშელი გენადი გულბანი სინანულით იქნევს თავს, — რომ ჩვენს ხეობაზე დღეს უამრავ სისაძაგლეებს გაიგონებ. ჩვენ ახლოს ვართ ბართან და ლტოლვილებიც პირველად ამ ხეობაში გაიძარცვნენ. ულელტეხილამდე ბევრს არაფერი მიჰყოლია, მაშინ ამ სოფლებში ათასი ჯურის ნაძირალამ მოიყარა თავი და ახლა თითქმის ყველაფერი ჩვენ გვბრალდება. ძმადა, როგორც შეგვეძლო, ვეხმარებოდით ხალხს. ამ ხეობაში ოჯახი არ დარჩენილა, ხარი რომ არ დაეკლა, გამასპინძლებოდა ლტოლვილებს, რაც გვქონდა არაფერი დაგვენანებია, მაგრამ... ღმერთმა ხომ იცის, ხეობის ხალხი ამ საქმეში მართლები ვართ. იარაღსა და ტყვია წამალს კი ვატოვებინებდით მებრძოლებს, აქ პისტოლეტებსა თუ ავტომატებზე არ გვაქვს საუბარი. გარბოდნენ, ჩვენ ვრჩებოდით. უკან კი აფხაზები მოყვებოდნენ, თავი ხომ უნდა დაგვეცვა? ზოგი თვითონ გვიტოვებდა ტყვია-წამალს. ბევრმა ულელტეხილზე დატოვა ყველაფერი, მერე „ყუმბარმტყორცნებს", ჭურვებს, ტექნიკას, ხევებში ვაგროვებდით. დღეს აქ მაგრად ვდგავართ, ხეობაში ვერავინ შემოვა. ისე, თუ არმია ყურადღებას მოგვაქცევს, ცუდი არ იქნება.

ბევრს კიდევ ისეთს ყვება გენადი, უმჯობესია არ მოისმინო, მაგრამ რას იზამ, ეს ჩვენი სირცხვილია და ამ სირცხვილს თვითონვე უნდა გავუძლოთ და თვალი გავუსწოროთ.

ხეობის ექიმი, ასე ეძახიან, კახაბერ ფანგანს, ახალგაზრდა, გამოუცდელი (წლეულს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი) პედიატრია. ის უვლის მთელ ხეობას. უჭირს, ამას თქმა არ უნდა. ურთულეს ოპერაციებსაც აკეთებს. გუშინწინ ფეხი მოუკვეთია დაჭრილისთვის.

— ნეტავ ახლა აქ იყვნენ ჩემი მასწავლებლები, შენგან ექიმი არ დადგებაო, რომ მეუბნებოდნენ, ნახონ რა დღეშიც ვარ. — ეღიმება კახაბერს და ახლაც მძიმე ავადმყოფს დასტრიალებს თავს. გენადის მამას მუცლის არეში ნაოპერაციებმა გაუხსნა, მწვავე ტკივილები აქვს. გამაყუჩებლებს უკეთებს და საევაკუაციოდ ამზადებს. ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი წამალი არაფერი შემორჩენია, რაც აქვს, ცოტა ხანში ისიც შემოელევა (ამის თაობაზე ქუთაისში დაბრუნებისას საქართველოს ჯანდაცვის მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს ვესაუბრე, პრობლემები არ იქნება, არაფერი ვიცოდით, შემპირდა).

სამშობლოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლას კოდორის ხეობის სოფლებიდან ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა. ბევრი დღესაც ვაჟკაცურად დგას იარაღით ხელში სოფლის, სახლ-კარის დასაცავად. სოხუმი ღალატმა დაგვატოვებინა, თორემ აფხაზები და მათი დამქაშები რას დაგვაკლებდნენ. სულ მალე ნახავთ, რაც შეუძლია ქართველს. მაშინ, როცა რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია, აფხაზები გააფთრებით გვებრძოდნენ, ჩვენ ერთმანეთს ვხოცავდით, ჯარი არ გვყავდა. ცალ-ცალკე, თითო კაცი ვიგერიებდით შეტევებს. სანამ იარაღი მოტყუებით არ გაგვატანინეს აფხაზეთიდან, სოხუმში ცხვირი ვერ შემოყვეს. ჩვენ რომ გავერთიანდებით (ეს სულ მალე მოხდება) რაღას დაგვაკლებენო, იმედს არ კარგავენ ბიჭები.

ერთ დროს შაჰ-აბაზ პირველიც ნატრობდა, ღმერთო, ერთ პირს ნუ მისცემ ქართველებსო. ნუთუ გვეწია მისმა წყევლამ და გონს ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზეც ვერ მოვეგეთ?

შოთა მაჭარაშვილი,
„საქ. რესპ." სპეც. კორ.

ნომერში

- მაროკოდან დანახული საქართველო. — 2
- ხალხი უნდა იცნობდეს თავის გმირებს. — 3

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

მაქვს პატივი გულითადი მადლობა მოგახსენოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 44 წლისთავის გამო მოსალოცი წერილისათვის. ვუსურვებ თქვენს სახელმწიფოს აყვავებას, მის ხალხს კი ბედნიერებას, და, ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა ნიადაგ ვითარდებოდეს.

ძიან ძემინი,
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე.
პეკინი, 1993 წლის 26 ოქტომბერი.

ირანი ეხმარება აფხაზეთიდან ლტოლვილებს

27 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის დროებით რწმუნებული საქართველოში ბატონი ფერეიდუნ ჰაყბინი. საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხს.

როგორც ბატონმა ჰაყბინმა აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ირანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოთხ მილიონზე მეტი ლტოლვილია, ირანის მთავრობამ მაინც გამონახა საშუალება 80 ტონა საკვები პროდუქტი გამოგზავნოს საქართველოში ლტოლვილთა დასახმარებლად.

რაც შეეხება ახლო მომავლის პერსპექტივებს, თქვა მან, თბილისში ფუნქციონირებას დაიწყებს ირანული ბანკი, გაიხსნება პირდაპირი საჰაერო გზა თეირანსა და თბილისს შორის, პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზების შემთხვევაში კი იმ 25 ირანულ ფირმას, რომლებიც ამჟამად თანამშრომლობენ საქართველოსთან, სხვა კერძო ფირმებიც შეემატება.

ბატონმა ოთარ ფაცაციამ იმედი გამოთქვა, რომ უცხოეთის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთკავშირები დაეხმარება საქართველოს მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლაში.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

სომხეთი და აზერბაიჯანი შეუფერხებლად მიიღებენ ტვირთს

26 ოქტომბერს სამთავრობო ჯარების მიერ ქალაქ სენაკის დაკავების შემდეგ, მთელი ღამის განმავლობაში რკინიგზელები აწარმოებდნენ აღდგენით სამუშაოებს. აღდგენილია მატარებლების მიმოსვლა სენაკი-სამტრედიის მიმართულებით.

27 ოქტომბერს სომხეთისათვის განკუთვნილი ორი ეშელონი მარცვალი ერევანში გაიგზავნა, ასევე შეუფერხებლად მიიღებს ტვირთს აზერბაიჯანიც.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
პოლკოვნიკ ბორის გრიგოლაშვილისათვის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ომის პირველი დღეებიდანვე პოლკოვნიკი ბ. გრიგოლაშვილი იმყოფებოდა ბრძოლის წინა ხაზზე, ორგანიზაციას უწევდა ნაწილებს ოპერატიულ მართვას. ასრულებდა რა სამსახურებრივ დავალებას, ბ. გრიგოლაშვილი არაერთხელ იყო მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, სადაც პირადი მამაცობისა და ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა. სამხედრო გამოცდილება დაეხმარა მას უკანდახევის მძიმე წუთებში გადაერჩინა და ალყიდან გამოეყვანა ახალგაზრდა ოფიცერთა ჯგუფი.

იმყოფებოდა რა პირველი საარმიო კორპუსის შტაბის უფროსის თანამდებობაზე, ბ. გრიგოლაშვილი ხელმძღვანელობდა კორპუსის ქვედანაყოფებს ქალაქ წყალტუბოს დაცვისას, სამტრედიის, აბაშის, ხონისა და მარტვილის გათავისუფლებისას. სენაკის მისადგომებთან გამართულ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. 26 ოქტომბერს ბ. გრიგოლაშვილს 60 წელი შეუსრულდა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი ორგანიზატორული უნარის, პირადი მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის პოლკოვნიკ ბორის გრიგოლაშვილს მიენიჭოს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.
ქ. თბილისი, 1993 წლის 26 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ხონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის შესახებ

დაინიშნოს გურამ მონიავა ხონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე.
ქ. თბილისი, 26 ოქტომბერი, 1993 წელი.

შეცდომით დაარტყეს რუსეთის მესაზღვრეებს

თბილისი, 27 ოქტომბერი. (იტარ-საკდეს-საქინფორმის კორ.). სამშაბათს საღამოს საქართველოს სამთავრობო ჯარების მიერ რესპუბლიკის დასავლეთში „ზვიადისტთა" წინააღმდეგ ოპერაციის განხორციელების დროს ორმა „სუ-25" მოიერიშე თვითმფრინავმა შეცდომით რაკეტები და ბომბები დაუშინა რუსეთის სასაზღვრო საგუშაგოს დაბა ანაკლიაში შავი ზღვის სანაპიროზე. საგუშაგოს უფროსი, მაიორი ვლადიმერ ჩერნენკოვი მძიმედ დაიჭრა მუცელში. დაზარალდა კიდევ ორი მესაზღვრე.

ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს სხვა ხელმძღვანელებმა სინანული გამოთქვეს მომხდარი ფაქტის გამო და ბოდიში მოუხადეს რუსეთის მესაზღვრეებს.

ავიაციის მიერ დარტყმას წინ უძღოდა ხუთი ვერტმფრენით საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის დესანტის გადასხმა, რომელიც ჩაება ბრძოლაში რუსეთის სასაზღვრო საგუშაგოს მახლობლად მყოფ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებათა ჯგუფთან. საგუშაგო მალე ჯვარედინი ცეცხლის ზონაში აღმოჩნდა, მისი პირადი შემადგენლობა განგაშის გამოცხადებისთანავე ცეცხლზე დადგა და იძულებული გახდა სროლით ეპასუხა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით შეიქმნა თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა გრიგოლის ძე ლომიძის დამკრძალავი კომისია ი. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

შოთა ლომიძე დაიკრძალება სახელმწიფოს ხარჯზე.

შ. ლომიძის დამკრძალავი კომისიისგან

შ. ლომიძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 28 და 29 ოქტომბერს, 1[illegible] საათზე, განსვენებულის ბინაზე (ჩიქოვანის 24ა). გამოსვენება 30 ოქტომბერს, 15 საათზე სპორტის სასახლიდან.

შ. ლომიძე დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ალექსანდრე ჩიქვაიძეს

თქვენო აღმატებულებავ, გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი მადლობას გიხდით თქვენი წერილისათვის, რომელიც გერმანიის საელჩოში ამ დღეებში მივიღეთ. დავალებული მაქვს გიპასუხოთ ფედერალური მთავრობის სახელით.

ფედერალური მთავრობა ყველანაირად, ასევე ოფიციალური განცხადებებითაც გამოდიოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად. 1993 წლის 22 ოქტომბერს ევროთათბირმა მოითხოვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. დაგმო აფხაზთა ქმედება და მოითხოვა რუსეთის ფედერაციას, ზეგავლენა მოეხდინა აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე. მაღალი დონის ორმხრივი შეხვედრების დროს ფედერალურმა მთავრობამ მოუწოდა რუსეთის მხარეს, შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულება და უზრუნველეყო სტაბილურობა ამ რეგიონში. ფედერალური მთავრობა კვლავაც ამგვარად იმოქმედებს, ფედერალურმა მინისტრმა კინკელმა 1993 წლის 18 სექტემბერს ოფიციალური განცხადებით მხარი დაუჭირა საქართველოს მოთხოვნას, აღდგენილიყო 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმების შედეგად მიღწეული მდგომარეობა. ფედერალური მთავრობა მიესალმება იმ გარემოებას, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოს მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრამ მოსკოვში 1993 წლის 8 ოქტომბერს დასახა ახალი პერსპექტივები სტაბილურობის დასამყარებლად.

გერმანიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად ითვლება ის, რომ გერმანია არ სცნობს ძალისმიერი გზით მიღწეულ ცვლილებებს და არც შემდგომში აღიარებს მათ პოლიტიკური თვალსაზრისით, გმობს აფხაზეთის ძალისმიერ დაპყრობას. ამავე დროს აფხაზეთში გამართულ რეფერენდუმებს იგი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს. საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების გადაჭრა უნდა დაიწყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ცნობით. გარდა ამისა ფედერალური მთავრობა თვლის, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა შესთავაზოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს კარგად დასაბუთებული ინიციატივა, რომლითაც მათ მიეცემათ თვითმმართველობის უფლება.

ფედერალური მთავრობის აზრით, ე. წ. წითელ-მიხაკისფერი ოპოზიციის ჩამოცილების შემდეგ რუსეთის პოლიტიკამ ნდობა უნდა მოიპოვოს. თუ მართალია, რომ ადგილობრივმა სამხედრო ხელმძღვანელებმა შეძლეს თავი დაეღწიათ მოსკოვის ხელმძღვანელობის კონტროლისგან, უჭერდნენ რა მათ მხარს რეაქციული ძალები უმაღლეს საბჭოში, მაშინ დღისდღეობით არსებობს შანსები ხელსაყრელი სტარტისთვის. ჩვენ რუსეთის მხრიდან კონსტრუქციულ პოლიტიკას მოველით. საქართველოს სტაბილურობა არის სტაბილურობის წინაპირობა არა მარტო ამ რეგიონში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. ფედერალური მთავრობა დიდი ინტერესით შეხვდა რუსეთის მთავრობის განცხადებას, რომლითაც რუსეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, შეუძლებელია, რომ რუსეთი დაინტერესებული იყოს ეთნიკური კონფლიქტების ჩრდილოეთში გავრცელებით.

თქვენო აღმატებულებავ, ვსარგებლობ შემთხვევით, რათა გამოვხატო თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

გიუნთერ დალკოფი,
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი

თბილისი, 19.X 93 წ.

სხვათა თვალით

საქართველოს საელჩოს პრესცენტრის ცნობა

წინა ღამით საზღვარგარეთის რადიოსადგურებმა დეტალურად განმარტეს საქართველოს, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ოლქის, სამეგრელოს მოვლენები. ბი-ბი-სის რუსული სამსახურის თანამშრომელი სიუზენ ვიგი იუწყებოდა, რომ „სეპარატისტთა სხვადასხვა რაზმების იერიში საქართველოს დანაწილების საფრთხეს უქმნიდა. ჯერ დაეცა აფხაზეთი. შემდეგ ზვიადისტებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც შევარდნაძის ხელში რჩებოდა, იზოლაცია ემუქრებოდა. შევარდნაძე ითხოვდა რუსეთის დახმარებას და ხმამაღლა აცხადებდა, რომ მან ქვეყანა გასაჭირში მიატოვა. მაგრამ ახლა იგი კვლავინდებურად თავდაჯერებულია. ორშაბათს შევარდნაძემ განაცხადა, რომ გასცა გამსახურდიას დაპატიმრების ორდერი და მოსთხოვა ზვიადისტებს, დაეყარონ იარაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სრული განადგურებით დაემუქრა. მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ სამთავრობო ჯარებმა დაიბრუნეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დასავლეთ საქართველოში და აღადგინეს ფოთისადმი კონტროლი, თუმცა იტარ-სატასი ამას არ ადასტურებს. შევარდნაძემ განაცხადა, რომ მისი მტრები განადგურდებიან უახლოეს დღეებში.

ამ ოპტიმიზმს განსაზღვრავს რუსეთის ჯარების შეზღუდული დისლოკაცია საქართველოში. შევარდნაძე დიდი ხანია მიანიშნებდა, რომ ძალთა თანაფარდობა საქართველოში რუსეთის ხელშია. მას არაერთხელ უსაყვედურია რუსი სამხედროების ზოგიერთი წრეებისათვის, რომ მხარს უჭერენ აფხაზებს და გაუკრიტიკებია რუსეთი იმისათვის, რომ იგი არ იცავდა მის მიერ გარანტირებულ მშვიდობიან შეთანხმებას აფხაზთა და ქართველთა შორის. მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ოფიციალური რუსეთი მიემხრო შევარდნაძეს.

ისმის აგრეთვე კითხვა, იქნება თუ არა შევარდნაძისათვის ხელმისაწვდომი რუსეთის სამხედრო აღჭურვილობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის მისი წარმატების შანსს. სამთავრობო ჯარების ფოთზე იერიშისას სწორედ რუსეთის მხარდაჭერით აიხსნება შევარდნაძის განცხადებათა თავდაჯერებული ტონი. ალბათ რუსეთის დახმარება უნდა მივიჩნიოთ რუსეთთან თანამშრომლობისათვის ჯილდოდ. ქართველთა მკვეთრად დამოუკიდებელი ტონი აღიზიანებდა მოსკოვს, თუმცაღა თავად შევარდნაძე დიდი ხანია შემრიგებლურ პოზიციას ადგა. თუ ცნობები რუსეთის სამხედრო დახმარების შესახებ დადასტურდება, როგორც ჩანს, ეს იქნება იმის მაჩვენებელი, რომ შევარდნაძის მიერ რუსეთზე აღებული ორიენტაცია სწორი გამოდგა.

26.X 93 წ.

გვწერენ

ჩვენ—ყოფილი „ზვიადისტები" აღარ გაგაჭაჭანებთ საქართველოში!

ამ პატარა წერილით გამსახურდიას მინდა მივმართო: თქვენ ორჯერ მოგეცათ საშუალება გამხდარიყავით ეროვნული გმირი, მაგრამ ორჯერვე, სამწუხაროდ, ეს შანსი ვერ გამოიყენეთ. პირველად მაშინ, როცა შეიარაღებულმა ოპოზიციამ გადადგომა გთხოვათ, რაზეც თქვენ უარი თქვით და ამისთვის არ დაგენანათ რამდენიმე ასეული თქვენი ქვეშევრდომის სიცოცხლე და თბილისის ცენტრალური რაიონი.

1992 წლის იანვრის დასაწყისში, თქვენი შეფასებით სისხლისმსმელმა ოპოზიციამ მოგცათ შანსი, რომ მშვიდობიანად დაგეტოვებინათ ბუნკერი, თქვენ ეს სისუსტედ ჩაუთვალეთ მათ, სომხეთისკენ მიმავალმა თქვენმა გაბოროტებულმა მხლებლებმა კი პირველი წუთებიდანვე დაიწყეს საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლა.

მე აქ არ მოვყვები იმ უამრავი ფაქტის კონსტატირებას, რასაც თქვენი ლოცვა-კურთხევით სჩადიოდნენ ეგრეთ წოდებული „ზვიადისტები". ერთს დავსძენ მხოლოდ: უთვალავია მათ მიერ მიყენებული ზარალი (ხიდების, გვირაბების, ელექტროგადამცემების, რკინიგზების და გაზსადენების გაუთავებელი აფეთქებები). თქვენი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ერთ-ერთ თავგამოდებულ პიროვნებას, პროფესორ ჯაბა იოსელიანს ტერორისტული აქტი მოუწყვეთ, რასაც რამდენიმე სრულიად უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა (მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვისა). ამას თქვენზე ოდნავადაც არ უმოქმედნია. პირიქით, ახალი ენერგიითა და შემართებით გაილაშქრეთ საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენი შინააშლილობით ფრთაშესხმულმა კაცთმოძულე არძინბამ დაიწყო ნამდვილი ომი საქართველოს წინააღმდეგ და როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახა, თქვენ მასთან დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფებოდით, რაზეც თქვენი მოქმედების სინქრონულობა მეტყველებს. არძინბამ, ჩვენდა სამწუხაროდ, თავისას მიაღწია და მეოთხედ მილიონ ქართველს აფხაზეთიდან ფეხი ამოაკვეთინა.

ქართველობას ბოლო წუთამდე გვჯეროდა, რომ საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს წარმართავდით იქითკენ, სადაც პრაქტიკულად ჩვენი ქვეყნის ბედი წყდებოდა. მაგრამ თქვენ, პირადი ამბიციებით დაბრმავებულს, სულ სხვა მიზნები გამოძრავებდათ. იმ დროს, როცა ბლოკირებულ სოხუმში ასობით ქართველი პატრიოტი იღუპებოდა და თითოეული ჯარისკაცი ოქროდ ფასობდა, თქვენი „შორსმჭვრეტელი ფელდმარშლების": ქობალიას, ძიძიგურის, ქღენტის, ქულიავასა და სხვათა გამოისობით ქართული არმიის სარდლობა იძულებული იყო დიდი რაოდენობის ტექნიკა და ცოცხალი ძალა დაებანდებინა ისეთ „მნიშვნელოვან" სოფლებთან, როგორებიცაა: ჯაპანა, დაფნარი, ქალაქ ხონთან...

და კიდევ: მეორე შანსი ეროვნულ გმირად შერაცხვისა, თქვენ სოხუმის გადარჩენის შემთხვევაში მოგეცემოდათ, მაგრამ ეს შანსიც ხელიდან გაუშვით, თუმცა კარგად ვიცოდით თქვენი სიკერპის ამბავი, გულის სიღრმეში მაინც იმედის სხივი ღვიოდა. ჩვენთვის კარგად ცნობილია, რომ თქვენმა თავგადაკლულმა მომხრეებმა დიდი ზარზეიმით აღნიშნეს სოხუმის და მთლიანად აფხაზეთის დაკარგვა. მე მხოლოდ ერთს დავსძენ: ამით მათ საბოლოოდ აგვიხილეს თვალი და ამჟამად ჩვენ, ყოფილი „ზვიადისტები", ვიქნებით პირველები, ვინც წინ აღუდგება თქვენს აღზევებას და სიცოცხლის ფასადაც კი არ დავუშვებთ თქვენს — პრეზიდენტყოფილის გაჭაჭანებას არა მარტო თბილისში, არამედ, საერთოდ საქართველოში.

ჯემალ ნოზაძე.

ქართლის შუაგული—აფხაზეთიდან ლტოლვილებისთვის

აფხაზ სეპარატისტთა მიერ თავს მოხვეულმა უგუნურმა ომმა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად აქცია ასეულ ათასობით მოქალაქე. ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში განსახლდნენ.

ქალაქმა გორმა და მისმა რაიონმა 700-მდე ლტოლვილი შეიფარა. საგანგებო შტაბში მოდიან გორელი მოქალაქენი, საწარმოო-დაწესებულებათა და კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელები, რომლებიც ლტოლვილებს სთავაზობენ საცხოვრებელ ბინებს, ფულადსა და მატერიალურ დახმარებას.

გორისა და გორის რაიონის გამგებელმა ბატონმა ზურაბ წკრიალაშვილმა აფხაზეთიდან ლტოლვილების ანგარიშზე 50 ათასი რუსული მანეთი შეიტანა, ხოლო გამგებლის ფონდიდან 3 მილიონი კუპონის ტანსაცმელი შეიძინა. მოსახლეობამ შეაგროვა დიდი რაოდენობით თბილი ტანსაცმელი, კვების პროდუქტები და ფულადი დახმარება.

სამაჩაბლოს ქართული სოფლების — აჩაბეთის, ქურთის, დისევის მოსახლეობამ 9 ტონა ტვირთი — კვების პროდუქტები, თბილი ტანსაცმელი და 3 მილიონი კუპონი შეიტანა აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

უცხოელმა თანამემამულემ ქალბატონმა ქეთევან ბაგრატიონმა 650 კილოგრამი რძის ფხვნილი გამოგზავნა. გორის განათლების სასკოლო დაწესებულებებმა 20 მილიონი კუპონითა და 5 ტონა კვების პროდუქტებით გაუწიეს დახმარება ლტოლვილებს. რძის კომბინატის დირექციამ თავის ადმინისტრაციულ შენობაში 50-კაციანი ჯგუფი შეასახლა. გორის რაიონის ბობნევის ბავშვთა გამაჯანსაღებელმა კომპლექსმა 50 კომპლექტი საძილე მოწყობილობა დაახვედრა გაჭირვებულ ადამიანებს.

უფლისციხის საფოსტო ყუთის ხელმძღვანელობამ 34 ლტოლვილი დააბინავა თავის საცხოვრებელ ბინებში. გორის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ლტოლვილები საკუთარ ჭერქვეშ შეიფარა, მათ შორის ვახტანგ ბარამაშვილმა, ილგუჯა კასრაძემ, არჩილ მერაბიშვილის ოჯახმა — 33 ადამიანი ხოლო მორის გელაშვილის ოჯახმა 12 სულიანი 4 ოჯახი შეისახლა.

მთლიანად აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარებამ შეადგინა 37 მილიონი კუპონი. ეს ინფორმაცია საქინფორმის გორის პრესცენტრს აცნობა სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალის დირექტორმა — აფხაზეთიდან ლტოლვილთა საგანგებო შტაბის ხელმძღვანელმა ბატონმა გურამ კვიწინაძემ.

თემო ნაფიშვილი.

ჩვენი ტკივილი და საზრუნავი

დაძაბული რიტმით მუშაობს ამ დღეებში ქუთაისის აეროპორტი. განუწყვეტლივ ჩამოჰყავთ სვანეთის მთებიდან აფხაზეთიდან ლტოლვილები. მრავალი მათგანი აქ დღემდე ელის დროებითი განსახლების ადგილებში გამგზავრების რიგს.

თბილისიდან განუწყვეტლად მოფრინავენ მედიკამენტებით, ტანსაცმლითა და კვების პროდუქტებით დატვირთული თვითმფრინავები. ერთი სიტყვით აეროპორტის მუშაკებს საზრუნავი ბევრი აქვთ.

სურათებზე: ლტოვილები ქუთაისის აეროპორტში.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტორეპორტაჟი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხალხი შვეულმფრენებით გადმოჰყავთ ბარში

აფხაზეთიდან ლტოლვილი, სვანეთის მთებს შეხიზნული ათასობით ქალი, ბავშვი, მოხუცი თუ ახალგაზრდა სასოებით შეჰყურებს ზეცას და ყოველ წუთს შვეულმფრენის გამოჩენას ელის. ვინ მოთვლის, ეს უკვე მერამდენედ მიფრინავს სვანეთის მთებისაკენ ქუთაისელი მფრინავები ოთარ მუშკუდიანი, ვახტანგ ნადირაძე, ზაურ ონიანი, ბესო გაბიანი, თამაზ ჩირაძე, სხვები. სვანეთისაკენ უკრაინის, სომხეთის, დაღესტნის შვეულმფრენებიც მიფრინავენ.

— ქართველი ლტოლვილების სიცოცხლის გადასარჩენად ჩვენთან ერთად თავს არ ზოგავენ უკრაინელი, რუსი, სომეხი და ლეკი მფრინავები, — ამბობს ესკადრილიის მეთაური ვახტანგ ნადირაძე. ქუთაისის აეროპორტის უფროსის რამაზ ჩანჩიანის კაბინეტში შეკრებილი ინტერნაციონალური ეკიპაჟები გაფრენის ნებართვას დაჟინებით ითხოვენ. არავის ახსოვს დასვენების დღე. ვიდრე ყველა ლტოლვილს მთებიდან ქუთაისში არ ჩამოვიყვანთ, ვერ მოვისვენებთო, ამბობენ ქართველი, უკრაინელი, რუსი, სომეხი, ლეკი მფრინავები, — დასძინა ესკადრილიის მეთაურმა.

რეზო მდინარაძე.

ინტერვიუ მხოლოდ ჩვენი გაზეთისთვის

მაროკოდან დანახული საქართველო



ანზორ ჯაიანი, აჭარის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, 1992 წლის 7 აპრილს წავიდა საქართველოდან მაროკოში, რუსეთის საელჩოს მრჩევლად.

გულდაწყვეტილი მიდიოდა: არავის დასჭირდა მაშინ არც მისი პროფესიონალიზმი, არც გამოცდილება. ღვაწლი ხომ დიდი ხანია დევალვირებულია საერთოდ.

წარმავალმა „საქართველოს რესპუბლიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში — თუ სამშობლოს დავჭირდი, პირველ დაძახილზე დავბრუნდებიო, — თქვა.

ჩანს არ დასჭირდათ.

მაინც ჩამოვიდა. შვებულებით. სამშობლოს გრძნობა და „დასჭირდათ" შეუთავსებელია.

ახლა ნაცნობ-მეგობრებში ტრიალებს და ისრუტავს, ისრუტავს საქართველოს.

და ამბობს:

— გასკდა გული, გული გასკდა: ან იქ რა მესმოდა, ან აქ რა ვნახე! საქართველოდან ჩამოღწეული ამბების გამო საავადმყოფოშიც კი მოვხვდი, მაროკოში, გულის შეტევით.

— რა ამბები ჩამოდიოდა?

— ყოველნაირი ინფორმაცია— ოფიციალური არხებით, პრესა, ტელევიზია, შეხვედრები საელჩოებში. ხშირად —ურთიერთგამომრიცხავი ცნობები. ძალიან გამიჭირდა. და იმ დროს, როდესაც ინფორმაციის აბობოქრებული ზღვის ტალღები საქართველოს სახელს უცხო ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის შეუვალ ნაპირს ახეთქებდნენ, ერთადერთი სიმყარე, პირდაპირ გეტყვით, საქართველოსთვის ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი იყო.

იქ, უცხოეთში, იმ ქვეყნებში, სადაც მომიწია ყოფნა, მიუკიბავად მეუბნებოდნენ, რომ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს ბევრად განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურის სახელი, დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ მას ხელეწიფება თანამედროვე საერთაშორისო კავშირურთიერთობებში საქართველოს ინტეგრირების საკითხის გადაწყვეტა და თუ ის გადადგა, ველარაფერი გიშველითო.

— ვინ გეუბნებოდათ?

— შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ესპანეთის, პრაქტიკულად ყველა ევროპული ქვეყნის საელჩოების დიპლომატები, ვისთანაც შეხვედრებს დიპკორპუსის მუშაობის სპეციფიკა ითვალისწინებს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს პოლიტიკა ჩვენს მიმართ ედუარდ შევარდნაძეზეა აწყობილი, მის გარეშე ჩვენსკენ არ გამოიხედავენ.

— ჩვენი საშინაო პრობლემებისადმი დამოკიდებულება როგორია?

— პოზიციები სპექტრალური ხასიათისაა, ზოგჯერ პოლარული. ამის ცოდნა გვმართებს. მაგალითად აფხაზეთის საკითხი გავარჩიოთ. არ იფიქროთ, რომ ამ პრობლემას ყველა ობიექტურად განსჯის. ჩინეთის საელჩოში ერთ-ერთი მიღების დროს ჩემი კოლეგა განცვიფრებას არ მალავდა — როგორ მოხდა, რომ 80 ათასმა აფხაზმა 3,5 მილიონ ქართველს ომი მოგიგოთო. ასეთივე პოზიცია ჰქონდათ ბასკებს, რომლებსაც ესპანეთში შევხვდი: თქვენი ნათესავები ვართ და გვეამაყებით, მაგრამ თქვენი სისუსტე ამ ომში ვერ აგვიხსნიაო. ჩვენო, მითხრეს ბასკმა მელუებმა, ცოტანი ვართ, მაგრამ ესპანეთი ხელში გვიჭირავს, თქვენ რა დაგემართათო.

როგორც შემეძლო, ვუხსნიდი. მაგრამ ინფორმაცია მე თვითონ მაკლდა, ვგრძნობდი. არ ვიცოდი, მაგალითად, რამდენი კაცი იბრძოდა იარაღით ხელში აფხაზეთში, როგორი იყო ჩვენი ჯარი, მოხალისეთა მომზადების დონე, შეიარაღება და ა. შ. ომის ბედი, ცნობილია, წინა ხაზზე არ წყდება. ომს იგებს ზურგი. როდესაც ზურგში ერთიანობა არ არის, ცალკეული დაჯგუფებები სახელმწიფოს მეთაურს ებრძვიან, როდესაც ერი გაიხლიჩა, როდესაც ზურგში შენივე ერის შვილები გირტყამენ, რა გამარჯვებაზე შეიძლება ლაპარაკი?!

— გქონდათ კი ინფორმაცია ჩვენი ზურგის თაობაზე, ანუ რა ხდებოდა მაშინ დანარჩენ საქართველოში?

— რა თქმა უნდა! ეს ოპოზიციაო, ეს გამსახურდია-ქოსალიაო... საზღვარგარეთელი პოლიტოლოგები საკმაოდ აზრიანად აანალიზებენ ჩვენს უახლოეს წარსულს, ყოფილი ხელისუფლების „ეროვნულ" პოლიტიკას. დეტალურად იციან, როგორ ამცირებდა და როგორ ებრძოდა გამსახურდიას „იდეოლოგიური ფრონტი" რუსეთსა და რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს... და შედეგად— ქართველები ერთმანეთს დაერივნენ. აქაც ვცდილობდი, ამეხსნა, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ვარწმუნებდი.

ერთიცაა: ჩამოდიან მაროკოში ქართველები და დახმარებას თხოვენ რუსეთის საელჩოს. საელჩო კი ინფორმირებულია, რომ „მებრძოლი სულისკვეთების" ჩვენი პარლამენტარები რაც შეუძლიათ ლანძღავენ რუსეთს. იცით, ძნელია დააჯერო ნებისმიერი დიპლომატი არ მიაქციოს ყურადღება ამგვარ ექსტრემიზმს. ვერ უთავსდება ასეთი ალოგიზმი სახელმწიფოთაშორის ნორმალურ ოფიციალურ ურთიერთობას, ცალკეული მოქალაქისადმი დახმარება-არდახმარების დონეზეც კი...

— მაქსიმალისტების, თუნდაც დეპუტატების გამო რატომ უნდა დაიჩაგროს ვინმე?

— აი, რომ არ დაიჩაგროს, რუსეთის საელჩოს დახმარების სურვილის გარდა, უფლებაც რომ ჰქონდეს საქართველოს წარგზავნილებს აღმოუჩინოს დახმარება, ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად უნდა თხოვოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაიცვას საქართველოს ინტერესები იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ საელჩოები არა გვაქვს, რუსეთის საელჩო მაროკოში მზადაა იტვირთოს ასეთი დავალება.

ამის გაკეთება ხელს გვაძლევს, რადგან მაგალითად, ჩვენი გემები, რომლებიც ტანჟერში, კასაბლანკაში შემოდიან, ვერავითარი სამართლებრივი უფლებით ვერ სარგებლობენ, ვერც სხვა ეხმარება.

ძალიან ცუდია, რომ საქართველოს ურთიერთობა არა აქვს მაროკოსთან, რომლის მეფე ჰასან მეორე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს სამუსლიმანო არაბეთის ქვეყნებში. მაროკო არაბულ სამყაროში კლიმატს ჰქმნის.

ჰასან მეორეს, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ბრძნული საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით მაროკოში ყველა პრობლემა გადაეჭრა. აი, მაღრიბის დანარჩენ 4 ქვეყანაში კი ვერა და ვერ მიაღწიეს სტაბილიზაციას. მაროკოში ცხოვრების ისეთი დონეა, რომ ევროპის ქვეყნებს ჯობნის. ესპანეთისას, მაგალითად, ერთნახევარჯერ ჰარბობს.

— მიზეზი?

— ისევ მეფე: პიროვნება და სახელმწიფოს მმართველი, და მისდამი დამოკიდებულება, უაღრესი პატივისცემა. თუმცა ეს არ გამორიცხავს პარლამენტში ოპოზიციის არსებობას (მაროკო პარლამენტური სამეფოა). ჰასან მეორეს მიაჩნია, რომ იგი პარტიულ დაპირისპირებაზე მაღლა დგას, და არ შეიძლება იყოს მიკერძოებული, იგი, ასე ვთქვათ, საერთო ეროვნულ საწყისს განასახიერებს.

— ესე იგი, მეფე, მისი პოლიტიკა, მაშასადამე, — პიროვნების გადამწყვეტი როლია?

— დიახ.

— ამ რაკურსით თუ შეიძლება პარალელის გავლება საქართველოსთან?

— შეიძლება და აუცილებელიცაა. მხარი უნდა დავუჭიროთ იმ პიროვნებას, რომელიც ქვეყნის სათავეშია და რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. გაითვალისწინეთ ერთი რამ: რუსეთიც კი მაროკოში ამჟამად განვითარებად ქვეყნადაა მიჩნეული, მაგალითად, ტანზანიის დონეზე. ამაზე უფრო ქვემოთ ჩვენ ვდგავართ და სპეციალისტები ფიქრობენ, რომ რუსეთთან კონტაქტების გაწყვეტა, მისგან მოცილება ჩვენთვისვე იქნება დამღუპველი. უცხოელ სპეცებზე მოგახსენებთ.

მაგრამ, ამასთან, უნდა ვიფიქროთ მაროკოსთან ორმხრივი ეკონომიკური კავშირების განვითარებაზე. კი არის იქ ჩვენი სავაჭრო წარმომადგენელი ნუგზარ ცერცვაძე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მივიწყებული ყავთ ჩვენებს. ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება კი შეუძლია. სამწუხაროდ, შესწავლილი არ არის ამ ქვეყნის ბაზრის პოტენციალი, რომელსაც, მგონი, ჩვენი ექსპორტის ათვისება შეუძლია.

—მაგრამ საამისოდ ჩვენ თვითონ უნდა ვიმუშაოთ და იმ ბაზარზე გასატანი საქონელი ვაწარმოოთ...

— ელემენტარულია! ჩვენთვის ხომ მისწრებაა იქაური იაფი ხორცი, ტყავი და ტყავის ნაწარმი. უიაფესი ციტრუსი, რომელიც ყრია და არავინ ყიდულობს. წინა ხელისუფლების პოლიტიკანები კი ქართველებს ატყუებდნენ — ციტრუსი გვაცხოვრებსო... ვის ჭირდება ჩვენი ციტრუსი?!

ვის დაკარგვიხარ, ვინ გეძებს?!

ერთხელ საელჩოს გუნდი ადგილობრივი ელიტის გუნდს ვეთამაშეთ ფეხბურთს. მაროკოელთა შორის იყო ბატონიშვილი, პრინცი— ჰასან მეორეს ძმის შვილი, დაინტერესდა ჩემით (ორი ბურთი გავუტანე და, აბა, რა იქნებოდა). აუხსნეს, რომ ქართველი ვიყავი. წარმადგინეს. ვუთხარი, რომ შევარდნაძის სამშობლოდან ვარ. უნდა გენახათ, როგორ გაეხარდა, და ვიგრძენი, რომ ჩემმა იმიჯმაც აიწია. დიდი მოკითხვა გადაეცით, მთხოვა. გაიხსენა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიქვაიძე, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონია.

თბილი ხალხია მაროკოელები, წყნარი. ჩხუბი და დავიდარაბა ქუჩაში არ მინახავს. ყველა პრობლემას გადაწყვეტ უცნობ კაცთან, თუ შენს სიკეთეს დაანახვებ, ბევრი არაფერი — გაუღიმე მხოლოდ.

დიდად აფასებენ იუმორს, ანეკდოტებს. ერთს მოგიყვებით, დამახასიათებელს: სტუდენტმა რაღაცა დააშავა. ლექტორმა გვარი ჰკითხა.

— მესკანი ფილალი ბილალი, — უპასუხა სტუდენტმა.

— ბილალი მესკანი თქვენი ვინ იყო? — ისევ შეეკითხა ლექტორი.

— მამა. — უპასუხა სტუდენტმა.

— მახსოვს, მამათქვენს ორი შვილი ჰყავდა.

— დიახ, ბატონო.

—ერთი იდიოტი იყო, მეორე მოუკვდა. თქვენ რომელი ხართ?..

საერთოდ, დემოკრატიული სულისკვეთების ხალხია, მაგრამ ოპოზიცია არ იკადრებს ისეთ უპატივცემლო გამოხდომებს უზენაესი ხელისუფალის მიმართ, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარი კადრულობს. ამას უზრდელობად კი არ მიიჩნევენ, არამედ ისეთ ავადმყოფობად, რომლის დროსაც აუცილებელია ექიმფსიქიატრის აქტიური ჩარევა.

— ჩვენთან პოპულარულია კრიმინოგენულ სიტუაციაზე ლაპარაკი. მაროკოში ქურდობენ?

— პრაქტიკულად, დანაშაული არ ხდება. მანქანის გატაცება, მაგალითად, საერთოდ, გამორიცხულია. ძალიან ებრძვიან ნარკოტიკებს. მაროკო ცნობილი ტრევის ჯგუფის ქვეყნებში შედის და ნარკომანიასთან ბრძოლა აქ უმაღლეს დონეზეა დაყენებული. თუმცა ნარკოტიკები გიბრალტარით მაინც შემოდის. მაგრამ შედარებაც არ შეიძლება იმ მასშტაბთან, ჩვენ რომ გვაქვს. ნარკომანია ის სფეროა, რომელშიც, საუბედუროდ, ბევრ განვითარებულ ქვეყანას გაუსწრო საქართველომ.

არმაზ სანებლიძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

ტყვე ჟურნალისტის დასაცავად

ღია წერილი ელენე ბონერს

როგორც უკვე ვიუწყებოდით, სოხუმის აღების შემდეგ აფხაზმა და ჩრდილოკავკასიელმა ექსტრემისტებმა ტყვედ და მძევლად აიყვანეს ასობით მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის რამდენიმე სოხუმელი ჟურნალისტიც. გუდაუთაში ტყვედ იმყოფებიან გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" მთავარი რედაქტორი იური გავა და ცნობილი სოხუმელი ჟურნალისტი, აფხაზეთში მოწყრიგების გაერთიანებული კომისიის პრესცენტრის ქართული ნაწილის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბერულავა.

თბილისში მყოფმა იური გავას მეუღლემ ქალბატონმა ჯულიეტა ხიმშიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, რომ ახლახან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებმა გუდაუთის საგამოძიებო იზოლატორში მოინახულეს იქ მყოფი გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" დაპატიმრებული მთავარი რედაქტორი. სხვადასხვა უწყება და სამართალდამცავი ორგანიზაცია ახორციელებს ღონისძიებებს სრულიად უდანაშაულო ჟურნალისტთა გასათავისუფლებლად. 26 ოქტომბერს ჯულიეტა ხიმშიაშვილმა ღია წერილი გაუგზავნა მოსკოვში აკადემიკოს სახაროვის ქვრივს ქალბატონ ელენე ბონერს. წერილში, კერძოდ, ნათქვამია: „ჩემი ქმარი, იური ვლადიმერის ძე გავა, გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" მთავარი რედაქტორი, ტყვედ ჰყავთ გუდაუთელ ფაშისტებს. მაქვს ყველა საფუძველი ასე ვუწოდო მათ, რადგან მთელი ომის მანძილზე სოხუმში ვიმყოფებოდი და ვნახე აფხაზ სეპარატისტთა ქმედებათა შედეგები — ისინი სისტემატურად და უმოწყალოდ ბომბავდნენ და ცეცხლს უშენდნენ სოხუმის მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ უბნებს, ქალაქის საავადმყოფოებსა და საბავშვო ბაღებს. ქალაქის მიდამოებსა და აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში უსწორდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

1993 წლის აპრილში ჩემი ქმრის წინააღმდეგ გუდაუთის ხელისუფლებამ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე „ანტიაფხაზური" პროპაგანდისა და აგიტაციისათვის. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც იური გავამ მოსკოვში გამოუშვა გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" ორი ნომერი და შეეცადა რუსი ადამიანებისათვის ეჩვენებინა, თუ რა ხდება სინამდვილეში აფხაზეთში. იმ გაზეთში არც ერთი სიტყვა არ თქმულა აფხაზი ხალხის წინააღმდეგ. პირიქით, იყო მოწოდებანი კონსტრუქციული მოქმედებისთვის, საღი აზრისთვის, მოლაპარაკებისთვის, დიალოგისთვის და ა. შ. ამავე დროს გაზეთის ფურცლებზე მხილებული იყო აფხაზური სეპარატიზმის ლიდერთა პოლიტიკა და დანაშაულობანი, იგი გმობდა თავზეხელაღებულ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ომამდე მიგვიყვანეს.

აფხაზეთში ჩვენ 1967 წლიდან ვცხოვრობდით. გავამ მუშაობა დაიწყო გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში". შემდეგ მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო დაწესებულებებში და დაკავებულ თანამდებობათა მიუხედავად, კრისტალურად პატიოსან კაცად დარჩა. ეს იცის მთელმა აფხაზეთმა — აფხაზებმაც, ქართველებმაც და რუსებმაც.

1988 წლიდან ჩემი მეუღლე გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქტორი იყო.

1991 წელს, მალე მოსკოვის პუტჩის შემდეგ (სხვათა შორის, აფხაზეთის მთელმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა „გკჩპ"-ს), არძინბამ თვითნებურად გადააყენა იური გავა რედაქტორობიდან და გაზეთი გადასცა იმათ, ვინც პროპაგანდას უწევდა სეპარატიზმის და ნეოკომუნიზმის იდეებს, ვინც მოუწოდებდა საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფას. მაგრამ მაშინ აფხაზმა ხელმძღვანელებმა ვერ მოახერხეს მთლიანად მოეცილებინათ თავიდან ჩემი მეუღლე და გაეჩუმებინათ იგი. 1991 წლის დამლევს — 1992 წლის პირველ ნახევარში იგი რედაქტორობდა ყოველკვირეულ „პანორამა აფხაზიის", რომლის ფურცლებიდან სისტემატურად აფრთხილებდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომ შესაძლებელია მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას დამღუპველი შედეგები მოჰყვეს. 1992 წლის სექტემბრიდან მძევლად აყვანამდე, იური გავა რედაქტორობდა გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას".

ძვირფასო ელენე გიორგის ასულო!

იური ძალიან კეთილი ადამიანია. მას ყველა იცნობს, როგორც პატიოსან და წესიერ კაცს.

დაეხმარეთ, გთხოვთ!

მას იმდენი ადამიანებისათვის გაუკეთებია სიკეთე!

როგორც მითხრეს, „მოსკოვსკი კომსომოლეცში" ამას წინათ დაიბეჭდა სტატია, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „როგორც ჩანს, გავას დახვრეტენ".

ნუ დაუშვებთ უსამართლობას, გევედრებით! იგი ჯილდოს, და არა ტყვიის ღირსია".

ამ წერილს, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება. ისღა დაგვრჩენია იმედი ვიქონიოთ, რომ ქალბატონი ელენე ბონერი, რომელიც ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ერთგულებას სამართალდაცვითი იდეებისადმი და იბრძოდა ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, გამოეხმაურება ამ წერილს და ხელს შეუწყობს სრულიად უდანაშაულო ჟურნალისტების განთავისუფლებას.

თენგიზ პაჭკორია.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პირველი სხდომა

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისში დროებით ფუნქციონირება დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

გაიმართა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს პირველი გაფართოებული სამუშაო სხდომა, რომელსაც უძღვებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი რამაზ სიჭინავა. სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთში საომარი მოქმედებებისა და გენოციდის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას.

სხდომის დღის წესრიგში იდგა ერთადერთი საკითხი — აფხაზეთიდან ლტოლვილი მოქალაქეების დაბინავების, შრომითი მოწყობის, მატერიალური დახმარების გაწევის მიმდინარე პროცესების შესწავლა და მათი აქტიური წარმართვა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი ლტოლვილთა კომიტეტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ.

მოისმინეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, დეპარტამენტების ხელმძღვანელთა ანგარიში, თუ როგორ მიმდინარეობს შესაბამისი დარგის სამინისტროების, უწყებების, საწარმო-დაწესებულებების ლტოლვილ თანამშრომელთა შრომითი მოწყობა და დაბინავება. ამ მიმართებით მიმდინარე მუშაობაზე ისაუბრეს მშენებლობისა და არქიტექტურის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, ფინანსთა, განათლების მინისტრებმა — როლანდ მიქაუტაძემ, შალვა წულეისკირმა, სვეტლანა ქეცბამ, ბესარიონ ნაყოფიამ, ჯანო ჯანელიძემ, მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ ჟორდანიამ, სოხუმის მერის მოადგილეებმა გია ჩიქოვანმა და დავით ცანავამ.

სხდომამ მოისმინა ოჩამჩირის, გულრიფშისა და სოხუმის რაიონების გამგებლების ხუტა გუგუჩიას, დავით გვაძაბიას, თემურ დგებუაძის, საქართველოს მთავრობასთან არსებული ჰუმანური კომისიის წევრის გია გვაზავას, აფხაზეთის პროკურორის ანზორ ლაცუზბაიას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვახტანგ თორდიასა და სხვების ინფორმაციები.

აღინიშნა, რომ თბილისში იმყოფება დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა მხოლოდ ნაწილი, ნაწილი კი განაწევს და საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

მართალია, თითქოს დაბრკოლების გარეშე ხორციელდება დარგობრივი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმო-დაწესებულებების მიერ აფხაზეთიდან ლტოლვილ მუშაკთა შრომითი დასაქმება, მაგრამ გადაუჭრელი რჩება საცხოვრებელი ბინათა და საკვები პროდუქტებით დაკმაყოფილების პრობლემები. აღინიშნა ისიც, რომ ლტოლვილ მუშაკთა შრომითი დასაქმება ხანდახან ფორმალური ხასიათისაა.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა რამაზ სიჭინავამ, ლორიკ მარშანიამ და აკაკი გასვიანმა აღნიშნეს, რომ დღევანდელ ურთულეს ეკონომიკურ პირობებში გაჭირდება ლტოლვილთა პრობლემების მოგვარება. ძნელია მარტოოდენ ჰუმანური დახმარებით ხალხის გამოკვება. ამიტომ სამინისტროების, უწყებების, საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რაიონების გამგებლებს მეტი აქტიურობის გამოჩენა მართებთ. მათ უნდა დაამყარონ პირადი კონტაქტები ქალაქებისა და რაიონების კოლეგებთან ლტოლვილთა საკვები პროდუქტებითა და ელემენტარული საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფისთვის. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ადამიანებს არ დავუკარგოთ აფხაზეთში მალე დაბრუნების რწმენა.

სხდომის მონაწილეთა უმრავლესობამ აფხაზეთიდან ლტოლვილთა დახმარების გაწევის ეფექტურობისათვის საჭიროდ მიიჩნია ცალკე შეიქმნას ლტოლვილთა დახმარებისა და განსახლების აფხაზეთის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც ამავე სახელწოდების საქართველოს სახელმწიფო კომიტეტთან მჭიდრო კავშირში იმუშავებს.

სხდომაზე გადაწყდა, რომ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლტოლვილთა დახმარების საკოორდინაციო ცენტრი აფხაზეთის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეხვდება ყოველი კვირის დასაწყისში და ერთობლივი ძალისხმევით იმუშავებენ აფხაზეთიდან ლტოლვილთა პრობლემების მოსაგვარებლად.

მანანა დარჯანია.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დაგეგმილია, რომ რუსეთს ნატოში გაწევრიანება შესთავაზონ

მომავალი წლის იანვრის დამდეგს ბრიუსელში დანიშნული ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა თათბირზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს დაგეგმილი აქვს წამოაყენოს წინადადება ნატოში რუსეთის მიღების შესახებ. ეს განაცხადა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა, რომელმაც არ მოისურვა საკუთარი ვინაობის გამხელა. როგორც მან თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან რუსეთის და ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალი მისი ყოფილი მოკავშირეებისადმი მიმართული მიწვევა უნდა გახდეს „პირველი ნაბიჯი“ პროცესში, რომლის დასრულებას შეიძლება არაერთი წელი დასჭირდეს. მოსკოვმა უნდა დაამკვიდროს მუდმივმოქმედი დემოკრატიული ინსტიტუტები, მიაღწიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სტაბილურობასა და საიმედო სამოქალაქო კონტროლი დააწესოს თავის შეიარაღებულ ძალებზე, აღნიშნა ამ წარმომადგენელმა. **მანვე დასძინა, რომ საწყის ეტაპზე რუსეთის ფედერაციას შეიძლება მიენიჭოს „მშვიდობის დაცვის საქმეში“ ნატოს დროებითი „პარტნიორის“ სტატუსი.** ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის მოხელემ უარი განაცხადა ეთქვა, განიხილავენ თუ არა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სრულუფლებიან წევრებად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღების შესაძლებლობას მანამ, სანამ ამ ბლოკში გაწევრიანდებოდეს რუსეთი.

გაეროს სამხედრო ოპერაციათა შესახებ

მთელი თავისი არსებობის განმავლობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ განახორციელა მშვიდობის დაცვისათვის გამიზნული 33 ოპერაცია, რომლებშიც მონაწილეობდა 650 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. აქედან 1027 კაცი დაიღუპა. ამას იუწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინა. 1948 წლიდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციათა საერთო ღირებულებამ 8,3 მილიარდ დოლარს მიაღწია, მიმდინარე 18 ოპერაციის განხორციელებისათვის წლიური დანახარჯები 3,6 მილიარდ დოლარს შეადგენს, 30 სექტემბრისათვის ამ ოპერაციათა ბიუჯეტებში ქვეყნების დავალიანება 1,5 მილიარდ დოლარს აღემატება. ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამშვიდობო ოპერაციებში ამოქმედებულია მსოფლიოს 75 ქვეყნის 76 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე.

ჯონ შალიკაშვილმა ფიცი დადო

გენერალმა ჯონ შალიკაშვილმა დადო ფიცი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ. ამ პოსტზე მან შეცვალა შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე კოლინ პაუელი, რომელიც გასულ თვეს გადადგა. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე გენერალ ჯონ შალიკაშვილს ეკავა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა.

დაგმო სომხეთში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარემ, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგარეტ აფ უგლასმა დაგმო სომხეთის შეიარაღებული ძალების ბოლო შეტევა სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ზონაში. ეს ითქვა ბაქოში აზერბაიჯანის პრეზიდენტთან ჰეიდარ ალიევთან მისი შეხვედრის დროს.

მარგარეტ აფ უგლასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც იგი წარმოადგენს, მხარს უჭერს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპების დაცვას და მიწების იძულებით მიტაცების წინააღმდეგია. მან განაცხადა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი იწყებს მთიანი ყარაბაღის გამო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის ახალი ეტაპის რეალიზაციას.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს გაკეთებულ განცხადებას და გამოთქვა რწმენა, რომ იგი ხელს შეუწყობს მოვლენათა საშიში განვითარების შეჩერებას. აღინიშნა, რომ აზერბაიჯანში ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე რესპუბლიკის მთელი რიგი ურთულესი პრობლემების, და უწინარესად, ყარაბაღის პრობლემის გადაჭრაში. ჰეიდარ ალიევის აზრით, ამ მიმართულებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საქმიანობაში არის პოზიტიური მომენტები. ამასთანავე მას მიაჩნია, რომ საბოლოო შედეგების თვალსაზრისით იგი დიდად ეფექტიანი არ არის. **აზერბაიჯანის ლიდერმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის თავმჯდომარეს სთხოვა გამოიყენოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მთელი ავტორიტეტი კონფლიქტის ზონაში საომარი მოქმედების შეწყვეტისათვის.**

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ხალხის აზრი

უმრავლესობას გამართლებულად მიგვაჩნია!

დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ დაძაბული დისკუსია მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლის შესახებ, რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ — საგამომცემლო დარგის მუშაკები დავრჩებით გარეშე მეთვალყურეთა როლში. ამასთან დაკავშირებით პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის სისტემის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ეწყობა მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრები, აზრთა გულახდილი გაზიარება. ამ შეხვედრებზე უკვე გამოიკვეთა ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი რიგი არგუმენტები თანამეგობრობაში გაწევრიანების სასარგებლოდ, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისას.

კერძოდ, ერთსულოვანია აზრი იმის თაობაზე, რომ იმ ღრმა კრიზისის დაძლევა, რომელშიც სხვა დარგებთან ერთად აღმოჩნდა დღეს წიგნის გამოცემის საქმე რესპუბლიკაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან ნორმალური კავშირურთიერთობების აღუდგენლად. როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში არ იწარმოება წიგნის დასტამბვისათვის საჭირო არც ერთი კომპონენტი — ქაღალდი, მუყაო, საღებავები, წებო, საამკინძაო მასალები და მრავალი სხვა. ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძალიან გაძნელდება ყოველივე ამის მყარ დასავლურ ვალუტაზე შეძენა. მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ნაადრევია ფიქრი ჩვენი პოლიგრაფიული პროდუქციით მსოფლიო ბაზარზე გასვლასა და ამ გზით საკუთარი სავალუტო სახსრების მოპოვებაზე. თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობით კი შეიძლება ბევრად უფრო უმტკივნეულოდ გადაწყდეს ამ მასალების დაკრედიტებით ან გაცვლის წესით შემოტანის საკითხი. შეუძლებელია ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებასაც, რომ რუსეთის ბაზარზე ქაღალდისა და სხვა პოლიგრაფიული მასალების შეძენა ერთიორად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მათი შემოტანა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან.

აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ რესპუბლიკაში არსებული პოლიგრაფიული საწარმოები თითქმის მთლიანად დაკომპლექტებულია რუსეთისა და უკრაინის მანქანათმშენებელ ქარხნებში დამზადებული დანადგარებით. დღეისათვის უკვე ფაქტობრივად მწვავედ დგას რესპუბლიკაში პოლიგრაფიული პარკის განახლების, აგრეთვე სათადარიგო ნაწილების, წიგნის წარმოებისათვის აუცილებელი მატრიცების, ბიმეტალური ფორმების, სხვადასხვა რეაქტივების შეძენის საკითხი. რა თქმა უნდა, თანამეგობრობაში შესვლა ამ მხრივაც გაცილებით მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

გაჩნდება ხელსაყრელი პირობები თანამეგობრობის წევრი ქვეყნების (განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელარუსის) მძლავრი პოლიგრაფიული ბაზების უფრო ეფექტიანი გამოყენებისათვის მხატვრული ალბომების, ფერადი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სხვა რთული გამოცემების დასასტამბავად ურთიერთხელსაყრელი გრძელვადიანი ხელშეკრულებების საფუძველზე. იქმნება შესაძლებლობა მოგვარდეს მკაცრი აღრიცხვის ისეთი აუცილებელი ნაბეჭდი პროდუქციით რესპუბლიკის უზრუნველყოფა, როგორიცაა დიპლომები, ატესტატები, შემნახველი სალაროს წიგნაკები, ფასიანი ქაღალდები, რომელთა დამზადება ჯერჯერობით ჩვენთან შეუძლებელია და ამისათვის რუსეთის სპეციალიზებულ საწარმოებთან კავშირების აღდგენაა საჭირო.

გამომცემლობების მუშაკთა აზრით, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება შემოქმედებითი კონტაქტების აღდგენასა და გაღრმავებას თანამეგობრობის წევრი ქვეყნების გამომცემლობებთან, ერთობლივი გამოცემების მომზადებასა და დასტამბვას, ურთიერთსასარგებლო გამოცდილების შესწავლასა და გაზიარებას. ამასთანა[illegible] ზონის შესაძლებლობების გამოყენება ხელს შეუწყობს თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის გაფართოებას, ბევრად გააიოლებს საავტორო უფლებების შეძენისა თუ გაყიდვის საქმეს და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის სისტემის მუშაკთა აბსოლუტური უმრავლესობა გამართლებულად თვლის საქართველოს შესვლას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და მხარს უჭერს სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებას.

პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია.

ჰუმანიტარული ტვირთი ამერიკიდან

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ორმოცი ტონა კვების პროდუქტებით დატვირთული მეათე ავიალაინერი ჩამოფრინდა.

- ჰუმანიტარული დახმარება ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მათ შორის, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაციიდანაც პირველ რიგში გათვალისწინებულია მათთვის, ვინც გამოექცა აფხაზ სეპარატისტებს, გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას, წარმოუდგენელი წამებით გაიარა მაღალმთიანი ცივი სვანეთის ბილიკები, ჩამოაღწია თბილისამდე, ქუთაისამდე და რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებამდე.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის ვლადიმერ ვალიშვილის ამ ფოტორეპორტაჟში ასახულია თბილისის აეროპორტში ამერიკის შეერთებული შტატებიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთის მიღების მომენტი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ეს წაგვადგება!

შევქმნათ მებოსტნეობის საგარეუბნო მეურნეობები

ზამთარი უკვე კარს მოგვადგა, სახელმწიფოსა და მთელ რიგ ოჯახებს სურსათ-სანოვაგის პრაქტიკულად არავითარი მარაგი არ გააჩნიათ. ომის, ნგრევისა და ქართველი მოსახლეობის გენოციდის შედეგად ლტოლვილთა რიცხვმა კი 200 ათასს გადააჭარბა. დამშეულმა სახელმწიფომ და ხალხმა როგორ უნდა შეიფაროს და გამოკვებოს ისინი?

აშკარა თუ „ფარული“ ათიათასობით უმუშევარი, ამასთან მშობლიურ გარემოს და ჩვეულ საქმიანობას მოწყვეტილი ათასობით ლტოლვილი, ამაოდ დაეძებენ სამუშაოს და თავის გამოკვების საშუალებებს. ვფიქრობთ, მათი დასაქმება შეიძლება კარგად ორგანიზებულ სასოფლო-სამეურნეო შრომაში, სახელდობრ მებოსტნეობის საგარეუბნო მეურნეობაში. ასეთები უნდა შეიქმნას ქალაქების ირგვლივ მდებარე რაიონებში, სადაც განისაზღვრება ყოველი სოფლისა და კომლის სტატუსი (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993, 1 ივნისი) და საადგილმამულო კანონის საფუძველზე გამოიყოფა თავისუფალი მიწები, რომლებიც ორგანიზებულად გაუპიროვნდება მოქალაქეებს.

მებოსტნეობის საგარეუბნო მეურნეობები სასურველია შეიქმნას თავისუფალ მიწებზე. ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეილახოს სოფლის მცხოვრებთა ინტერესები. ასეთი მეურნეობა შესაძლებელია თვითონ სოფელმა შექმნას და ქალაქელებიც დაასაქმოს. შესაძლოა აგრეთვე ჩამოაყალიბოს სახელმწიფომ, კერძო პირმა, ან კოლექტივმა, ოღონდ პრინციპი ერთი უნდა იყოს: უნდა ეფუძნებოდეს ჯანსაღ კომერციას, ითვალისწინებდეს თავისუფალი ბაზრის კონიუნქტურას და სასარგებლო უნდა იყოს ყველასათვის.

თუ ეს წინადადება მხარდაჭერას ჰპოვებს, მაშინ საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომისიასთან არსებული მეცნიერთა კანონშემოქმედებითი ჯგუფი განსაზღვრავს და დააზუსტებს მებოსტნეობის საგარეუბნო მეურნეობის პროფილს, შეიმუშავებს წესდებას და დებულებას.

როინ ლიპარტელიანი,
საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ ჩხეიძე,
პროფესორი;

ლევან ფრუიძე,
ეთნოგრაფი, პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი.

ამერიკაში მცხოვრები ქართველები მხარს ვუჭერთ შევარდნაძის პოლიტიკას

საქართველოში რა უბედურებაც ტრიალებს, რა კოშმარშიც ვდგავართ, ჩვენზე უკეთ ვინ იცის?! იმ უგვანო, უჯიშო „პოლიტიკოსის“ წყალობით რომ გვჭირს, ესეც ვიცით, ზოგი დღეს თუ ხვდება, ზოგიც უფრორე ბრაზმორეული, შორით გაპენტილი კვლავაც შხამს თესავს. ერთი სიტყვით, ნაქართველართა (დიახ, მხოლოდ ასე მოვიხსენიოთ, მარად უხსენებელნი!) საქმენი უგვანონი მარტო ჩვენი საწუხარი არ არის. ამის დასტურად მინდა ის მოკლე წერილი გავაცნოთ, რომელიც ამ დღეებში მივიღეთ ჩვენი ოკეანისგაღმელი ძირისუფლისგან, რომლის წარდგენაც, ალბათ, ბევრს არ სჭირდება და მაინც, ბონდო კეკელია, ნიუ-იორკელი ქართველი მოხუცი, მალე 9 ათეულ წელს რომ მოითვლის და არც ერთი წუთი არ უცხოვრია საქართველოზე, ქართველებზე, მის მომავალზე რომ არ ეფიქრა.

ბატონი ბონდო ითხოვს სიტყვას და ყურადღებას გთხოვთ. სტილს არ ვცვლით, მხოლოდ ზოგიერთი ადგილია ამოღებული, რომელიც პირადულად მივიჩნიეთ.

„ჩემო ზაზა,

გიგზავნი წერილს გაზეთში გამოსაქვეყნებლად, იმედია, დაბეჭდავენ და ახალგაზრდები, ჩემი შვილიშვილები წაიკითხავენ. ამერიკაში მცხოვრები ქართველები აღშფოთებას და გულისტკივილს ვერ ვფარავთ, ამ ბოლო დღეებში მომხდარი მოვლენებით რომ არის გამოწვეული — მხედველობაში გვაქვს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საომარი მოქმედებები.

როდემდე უნდა გაგრძელდეს შუღლი, როდემდე უნდა იღვრებოდეს უდანაშაულო ხალხის სისხლი. მათ შორის ყოფილან პატარებიც, ისეთებიც, რომელთა საქმეები დიდის რძე არის. ღმერთო, რა ხდება ჩემს სამშობლოში?! ვერაფრით ვერ [illegible]

სიტყვას ითხოვს თანამემამულე

[illegible] იმას, რომ მათაც ქართველებს უწოდებთ, უფრო მეტიც — ეროვნებით, ინდობთ და, როგორც გავიგე, „ბატონობითაც“ კი მიმართავთ. რა, თავს იგდებთ? კმარა!!!

ნუთუ დასავლეთსა და შავიზღვისპირეთში მოთარეშე სეპარატისტ-კრიმინალებს დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ მათი მოქმედებით კიდევ უფრო ასუსტებენ, ჯიჯგნიან ისედაც მრავალტანჯულ საქართველოს, ნუთუ სურთ მოაბრუნონ ისტორიის ბორბალი, დააბრუნონ დრონი, როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთს ებრძოდნენ და ამით ახარებდნენ გარეშე მტრებს! ეს არის სამშობლოს ნამდვილი ღალატი და ისინი უნდა გამოცხადდნენ ერის მოღალატეებად. მე ვთხოვ მამაშვილურად ბატონ ედუარდს, მიიღოს ყოველგვარი გადამწყვეტი ზომები, აღკვეთოს კრიმინალთა თარეში. დე, იცოდეს მან, რომ ამერიკაში მცხოვრები ქართველები მხარს ვუჭერთ მის პოლიტიკას! გვჯერა, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს ის მოუტანს ნანატრ მშვიდობას და კეთილდღეობას.

მაგრამ რა ეშველება იმას, რომ [illegible] ახალგაზრდები ერთმანეთს ღალატობენ? თითოეული მათგანი ხომ ოჯახის შემქმნელია (ან შესაქმნელი აქვთ)! ერთმანეთს კი ჰკლავენ. ესეც სამშობლოს ღალატია და ისინი ეკლესიამ უნდა შეაჩვენოს!

ჩემო ზაზა, ისე მწყურს სამშობლოში ჩამოსვლა, რომ ლამის გავგიჟდე. მაგრამ მაქაური ახალგაზრდების მიერ ერთი მეორის მკვლელობას რომ ვიგებ, გული მიკვდება და თავს ვიკავებ — მეც არ მიმაყოლონ და ამით ზედმეტი მატერიალური ზარალი არ მივაყენო ჩემს სამშობლოს. აქ რომ ჩამოდიან, ზოგიერთი მათგანი არ არის მთლად სინდისიერი. ერთმა მათგანმა ქურდობაც კი იკადრა ერთ დიდ მაღაზიაში და თავი შეირცხვინა. მინდა მჯეროდეს, რომ ოდესმე ამასაც მოევლება.

ჩემო ზაზა, მე რაც შემიძლია, ვცდილობ გამოვადგე სამშობლოს. ვესაუბრები ბატონ პეტრე ჩხეიძეს, რომელიც მონდომებულად და მუყაითად მუშაობს. მისი სახით საქართველოს ჩინებული წარმომადგენელი ჰყავს გაეროში. მისი წყალობით ბატონი კლინტონი საქართველოს ამბების საქმის კურსშია. მან ყოველივე იცის აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ. საქართველოში მიმდინარე ამბებით დაინტერესებულნი არიან ამერიკელი სენატორებიც.

აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით საქართველოს. კიდევ ერთხელ, გთხოვ მომიკითხო სამშობლო და ჩემი სიყვარული გადაეცი მათ, ვინც ამას იმსახურებს!

შენი ბონდო კეკელია“.

20 ოქტომბერს ტელეფონით ვესაუბრე ძია ბონდოს. საოცრად უთრთოდა ხმა, მაგრამ მაინც მელაპარაკა. „გინდათ გული გამიხეთქოთ? აღარ აპირებთ ნორმალურ ცხოვრებას? ვინ ელოლიავება ამდენს ბანდიტებს?“ — თავს ვუქნევდი და ვპასუხობდი — მართალი ბრძანდებით-მეთქი. დამშვიდობებისას კი გამიმეორა: „მოუარეთ მაგ კაცს, დაუდექით გვერდში!“ დავპირდი, რომ მის თხოვნას გაზეთის საშუალებით ვამცნობდი მის საჭირისუფლოს.

ზაზა სიამაშვილი

გმირები

არ დაიდარდო, დედაო!..

ჭაბუკი ავტომანქანის ძარაზე იდგა და გზის ორივე მხარეს გადაშლილ მინდორ-ველებს გასცქეროდა. ჩამავალი მზის სხივებში იკარგებოდა მწვანეში ჩაფლული სოფლები. შინ, გორში დარჩა მამისეული სახლი, მეუღლე და ორი პაწია ქალიშვილი — მანუკი და ლიკა.

ზაზა გამგებელი ადრეც არაერთხელ ყოფილა აფხაზეთში. ომი იყო და, ქ. გორის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსს შინ რა გააჩერებდა. ტამიშს და გუმისთას, შრომასა და ახალსოფელს ახსოვს ლამაზი, ვერცხლისწყალივით მოუხელთებელი, საზრიანი და გულადი მებრძოლი.

... თბილისისკენ მიმავალი საბარგო ავტომანქანის ძარაზე იდგა ზაზა გამგებელი და ჰორიზონტს გასცქეროდა. შორს, მაღლა, თვითმფრინავმა ყრუ გუგუნით გადაიფრინა. იმ ღამით ზაზაც საჰაერო გზით უნდა ჩაფრენილიყო სოხუმში. ყმაწვილს გულმა რეჩხი უყო, ისე მოულოდნელად გამოემგზავრა, რომ დედას ვერც კი დაემშვიდობა. არა უშავს, სოხუმიდან მალე უნდა მობრუნდეს, მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტს სადიპლომო შრომა უკვე მზად აქვს, 28 ივლისს დიპლომის დაცვაა, დღეს 9 ივლისია, მოასწრებს...

ზაზა გამგებელმა, ხასიათი იყო ეს თუ ბედისწერა, თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე ბევრი რამ მოასწრო, — სკოლა, ინსტიტუტი, სიყვარულით შექმნილი ოჯახი, სამაჩაბლო და აფხაზეთი. ქართლში [illegible] და მასზე უკეთ არავინ იცოდა დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, უსიერი ტყეების ლაბირინთებში ბილიკების პოვნა.



ზაზას მამა, გივი გამგებელი თან დაჰყვებოდა სამაჩაბლოში თავის ერთადერთ ვაჟს. მასთან ერთად იბრძოდა, გვერდით ედგა, ეშინოდა მამას, მაგრამ არ [illegible], გული ცუდს უუბნებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა. გორში გამგებლების სახლი ლაზარეთიც იყო, შეხვედრის ადგილიც, ლტოლვილთა თავშესაფარიც.

გაზაფხულზე ზაზა მოსკოვში იყო, ინსტიტუტში სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა და ერთი ხანობა იქ დარჩენასაც აპირებდა, ერთ თვეში დიპლომი უნდა დაეცვა, მაგრამ სწორედ იმ ხანებში აფხაზეთში მდგომარეობა უკიდურესად გართულდა, და ბიჭი შინ გამოემგზავრა. 9 ივლისს, — ათიოდე დღეს მაინც ვიომებო! — ზაზა გამგებელი გორის სასწავლო ცენტრის ბატალიონს მოხალისედ გაჰყვა სოხუმში.

— მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ადგილზე ჩაფრენისთანავე შრომა-ახალსოფლის ფრონტის ხაზზე საბრძოლო პოზიციები დავიკავეთ, — მიამბობს გორის სასწავლო ცენტრის ბატალიონის მეთაური ხვიჩა წულაია,— იმ საბედისწერო დღეს, 21 ივლისს, სანგრებში ვისხედით, პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა. ჩვენს სანგარს ზურგიდან უზარმაზარი ქვის ლოდი იცავდა. მოულოდნელად ამ ქვას რამდენიმე ავტომატის ტყვია მოხვდა. იმ პოზიციაზე, საიდანაც ისროლეს, დილიდანვე ჩვენები იყვნენ გამაგრებული. გამიკვირდა: „ნუთუ ჩვენიანები გვესვრიან-მეთქი?“.

გვიან გაირკვა: იქ უკვე აღარ იდგნენ სამთავრობო ძალები. უპატრონოდ მიტოვებულ სანგრებს ჩეჩნები და ექსტრემისტი აფხაზები დაპატრონებოდნენ. მწარე იყო იმის გააზრებაც კი, რომ ზურგი უკვე აღარ გვქონდა. მოკლედ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: წინ წყალი, უკან მეწყერი...

მაგრამ ზაზა ის ბიჭი როდი იყო, ვინც შეშინდება, მტრებს ჩამოუშვებს, თავადაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდება და სხვებსაც თან ჩაიყოლებს.. სნაიპერები უკვე გვესროდნენ და ჩვენც სანგრებში პირქვე ჩავწექით, სროლა რომ მიწყდა, ასე, დღის ოთხი საათი იქნებოდა, [illegible] და გადავწყვიტეთ, ძალები გადაგვეჯგუფებინა, იმდაგვარად შეგვეცვალა პოზიცია, რომ მტერს ზურგიდან არ შემოევლო.

ირგვლივ ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა. ზაზა სანგრიდან ფრთხილად, მალულად ამოცურდა და იქვე, ახლომახლო გაშლილ მეომრებთან მიირბინა — შექმნილი ვითარებაც გააცნო და მეთაურების დავალებაც — სოფლის გაღმა თვალი ედევნებინათ მოწინააღმდეგის საბრძოლო ძალების გადაადგილებისათვის ისე, რომ ზურგშიც ფხიზლად ყოფილიყვნენ.

სროლა განახლდა. ეტყობა, შეამჩნიეს ბიჭი, — გაიფიქრა ხვიჩა წულაიამ და ის იყო ზაზას ხმაც გაიგო:

— ხვიჩა!

— ჰო.

— მოვდივარ. ბოლო სანგარიღა დამრჩა.

ფრთხილად, მგონი შეგვამჩნიეს, ისევ სიჩუმე ჩამოწვა. საათებად გაიწელა წამები. მოულოდნელად რაღაც აშრიალდა და უზარმაზარი ქვის ქვეშ შეყუჟულებს ფეხის ხმა შემოესმათ. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ გავარდა თოფი და ექომ ტამიშის დაბლობზე გაინავარდა.

ზედ სანგარზე შემოდგა მკერდზე ხელმიდებული ზაზა გამგებელი, ერთი ნაბიჯიღა აშორებდა მეგობრებს. ის ერთი ნაბიჯი თავისით ველარ გადმოდგა, მეგობრებმა ხელში ატაცებული ჩამოსვეს სანგარში, მძიმედ სუნთქავდა, სამხედრო გიმნასტურა სისხლიანი იყო, მკერდზე მიდებული ხელი — სისხლიანი.

— ზურგიდან ველარ შემოგვევლიან, — საშინელი ტკივილები აღბეჭდოდა ზაზას სახეზე, — საიმედოდ განვალაგე ბიჭები. ეს პოზიცია კი უსათუოდ უნდა შევინარჩუნოთ, თორემ სოხუმელებს გაუჭირდებათ...

დაჭრილი მიწაზე დააწვინეს, მძიმედ სუნთქავდა. ყმაწვილს საქართველოს ცა დაჰყურებდა თავზე, თავადაც ცას გაუშტერა თვალი. სევდიანი ღიმილი გადაეფინა სახეზე, ძლივს გასაგონად ჩამარცვლა: „არ დაიდარდო, დედაო....“

...გმირის პატივით დაკრძალეს გორელებმა თავისი მამაცი შვილი.

ოჯახში მწუხარება და დარდი ჩასახლდა. პირველმა ისევ მამამ, გივი გამგებელმა შეიმშრალა ცრემლი, ქალაქის გამგეობაში მივიდა და აფხაზეთში მებრძოლთა დახმარების ფონდში ერთი მილიონი კუპონი შეიტანა. ორი წელია, გამგებლების ოჯახში სამაჩაბლოელი გუგული ეჭრუაშვილის ხუთსულიანი ოჯახია შეკედლებული. გამგეობას მიაკითხა გივი გამგებელმა და აფხაზეთიდან თენგიზ აჭარაძის ცხრასულიანი ლტოლვილი ოჯახი წამოიყვანა შინ — თედოწმინდაში ორსართულიანი სახლი დაუთმო მათ.

...ცხოვრება სიცოცხლის მდინარებაა. მასში, ისევე როგორც მდინარეში, ორჯერ ვერ შეხვალ. ქვეყანაზე ერთხელ მოდის ადამიანი და თავისი ხვედრი წუთისოფელს კაცურად, ნამუსიანად უნდა განვლოს, ისე რომ აქ, ამქვეყნად, წინაპრებს პირნათელი მიუვიდეს...

ლიკა და მანუკი ჯერ პატარები არიან, ლიკა გაისად პირველად წავა სკოლაში, მანუკი — საბავშვო ბაღში. სახლიდან გამოვლენ და ზაზა გამგებლის სახელობის ქუჩას გაუყვებიან, რომელსაც დღეს სხვა სახელი ჰქვია. ქუჩის სახელწოდების გადარქმევის შესახებ ამ დღეებში ქალაქის გამგეობა იმსჯელებს.

ზაზა გამგებელი სავსებით იმსახურებს ამას.

გურამ ბაშაკიძე.

გამოსათხოვარი

შოთა ლომიძე

ქართულმა სპორტმა აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად, 57 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ოთხგზისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი შოთა ლომიძე.

წავიდა ამ ქვეყნიდან დიდებული კაცი, რომელიც ნამუსიანად, ვაჟკაცურად და უანგაროდ ემსახურა ქართულ სპორტს და სხვებთან ერთად ხელი შეუწყო მისი სახელოვანი ისტორიის შექმნას. შ. ლომიძეს დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურისტის სპეციალობით.

სპორტული სარბიელიდან წასვლის შემდეგ კი მან სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე გამოიჩინა თავი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალმა, შესანიშნავმა ორგანიზატორმა და გულისხმიერმა ხელმძღვანელმა.

შოთა ლომიძე ცხოვრებაშიც, ისევე როგორც ხალიჩაზე, უშიშარი და დიდსულოვანი რაინდი იყო, მიზანიც მუდამ გარკვეული ჰქონდა, იცოდა რისთვის იბრძოდა და არავითარ შემთხვევაში სიძნელეების წინაშე უკან არ დაიხევდა. ხასიათის სიმტკიცე მისი ცხოვრების წესი იყო. გულის სერიოზული დაავადების მიუხედავად მუდამ შემართულად, შეურყევლად იღვწოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ. როცა ქვეყანას ტრაგიკული დღეები დაუდგა, ქველმოქმედებით მუდამ გამორჩეულმა, თავის მეგობრებთან ერთად ვეტერან სპორტსმენთა, სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა ასოციაცია დააფუძნა: იმ დღეებში სპორტის სასახლეში შეკრებილებმა ერთსულოვნად გამოაცხადეს თავი სამშობლოს ჯარისკაცებად. დიდი იყო მათი და პირადად შოთა ლომიძის წვლილი აფხაზეთის ფრონტის დახმარების საქმეში.

ქვეყნის სიყვარულით ანთებულმა სათუთმა გულმა ამდენს ველარ გაუძლო. დარჩება მხოლოდ ერის სიყვარულით შემკული მისი სახელი, სახელი კაცისა, რომელიც ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

შესანიშნავი სპორტსმენის, ნათელი პიროვნების, გულითადი მეგობრისა და სამაგალითო მამულიშვილის სახელს არასდროს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ხალხი.

შოთა ლომიძემ თავისი ცხოვრებით ბრწყინვალე მაგალითი მისცა ახალგაზრდობას.

ედუარდ შევარდნაძე, ოთარ ფაცაცია, ვახტანგ გოგუაძე, ავთანდილ მარგიანი, ირაკლი მენაღარიშვილი, ჯაბა იოსელიანი, იგორ გიორგაძე, შოთა კვირაია, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, ბეჟან ხურციძე, კახი ასათიანი, ნოდარ კოჩახიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ჯანსუღ ბაგრატიონი, ვლადიმერ ისელიძე, დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, გურამ გედეხაური, გურამ სალარაძე, ზარიბეგ ბერიაშვილი, არჩილ გოგელია, ილია დათუნაშვილი, ოთარ მიმინოშვილი, გიორგი კვესიტაძე, რესან კონცელიძე, ირაკლი ანდრიაძე, თენგიზ გაჩეჩილაძე, ლევან დავლაძე, რაიმონდ მაჭავარიანი.

მერია ბრძოლას ამკაცრებს

უკანასკნელ პერიოდში ძალზე გართულდა თბილისის მოსახლეობის პურ-პროდუქტებით მომარაგება. დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული პურის ქარხნებისა და საწარმოების დაცვის გართულების გამო სავაჭრო ობიექტებს წარმოებული პროდუქციის მხოლოდ ნაწილი მიეწოდება. მაღაზიებთან გაჩენილია გრძელი რიგები. მომძლავრდა პურით სპეკულაცია.

ქალაქის მოსახლეობის პურპროდუქტებით უზრუნველყოფაში საჭირო წესრიგის დასამყარებლად თბილისის მერის ნიკო ლეკიშვილის განკარგულებით აიკრძალა ქალაქის ტერიტორიაზე კერძო პირების მიერ ქარხნული წესით დამზადებული პურპროდუქტების ნაწარმის გაყიდვა და ქალაქის პოლიციის სამმართველოს, კონტროლის პალატას და თბილისის რაიონების გამგებლებს დაევალათ ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება. რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის მთავარ სამმართველოს ეთხოვა რკინიგზის ვაგზლებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მკაცრი კონტროლი დააწესოს მოქალაქეების მიერ პურის დიდი ოდენობით ქალაქიდან გატანისა და სპეკულაციის შემთხვევების აღსაკვეთად.

რესპუბლიკის პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ უნდა ჩაატაროს პურის ქარხნებისა და საწარმოების დაცვა-გამაგრების სამუშაოები, საწარმოთა ტერიტორიებზე უცხო პირების შეღწევის აღმოსაფხვრელად, ავტოსატრანსპორტო საწარმოებთან ერთად, დაამუშაოს ახალი გრაფიკები ღამის საათებში მაღაზიებში პურის შეზიდვის მინიმუმამდე შესამცირებლად. ქალაქის № 5 და № 7 ავტოსატრანსპორტო საწარმოებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დააწესონ პურის საზიდი ავტომანქანების მოძრაობაზე, ხოლო ქალაქის ვაჭრობისა და მომსახურების სამმართველოს და მის რაიონულ განყოფილებებს — სათანადო კონტროლი განახორციელონ სავაჭრო ობიექტების მუშაობაზე, არ დაუშვან პურის ერთ ხელზე გაცემის ნორმების დარღვევა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწოდებული პროდუქციის ლიმიტების, ხარისხისა და წონის დაცვას.

ინფორმაცია 93

„იბერიის" ლენტიდან

სოხუმი. ჩვენი კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედმა ხელისუფლებამ ქართველთა მიმართ ახალი დისკრიმინაციული გადაწყვეტილება მიიღო. ეს არის დადგენილება ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ, რომლის მიხედვითაც, პირველ რიგში დაბრუნდებიან რუსი ლტოლვილები, შემდეგ — ბერძნები, ებრაელები და სომხები. რაც შეეხება ქართველ ლტოლვილებს, მათი დაბრუნების მექანიზმი შემდეგნაირია: თითოეულმა ქართველმა ლტოლვილმა განცხადებით უნდა მიმართოს სპეციალურ კომისიას, რომელიც შეიქმნება აფხაზეთის ყველა რაიონში. განცხადებაში მან უნდა დაასაბუთოს, რომ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში აფხაზთა მხარის წინააღმდეგ; განმარტოს, თუ სად იმყოფებოდა და რა საქმიანობას ეწეოდა კონფლიქტის მიმდინარეობის დროს.

კომისია ვალდებულია 6 თვის მანძილზე განიხილოს განცხადება და მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის შემდეგაც მას დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივ ადმინისტრაციას. კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლება და გასაჩივრებას არ ექვემდებარება — ნათქვამია დადგენილებაში.

ბორჯომი. რაიონში გრძელდება თანხის გადარიცხვა ლტოლვილთა დახმარების ფონდში. განათლების სისტემის მუშაკებმა ამ მიზნით 1.000.000 კუპონი შეაგროვეს.

კრიმინალური ქრონიკა

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ **ლენჩერ ბოჭორიშვილის** თავმჯდომარეობით განიხილა სისხლის სამართლის საქმე თეიმურაზ არსენის ძე მირესაშვილის და გიორგი რუბენის ძე როსტიაშვილის ბრალდების გამო.

მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში მცხოვრები თ. მირესაშვილი და გ. როსტიაშვილი წარსულში რამდენჯერმე იყვნენ ნასამართლევი დანაშაულთა განზრახ ჩადენისთვის. მათ შორის თ. მირესაშვილი — ყაჩაღობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. სასჯელის მოხდის შემდეგ ისინი არ მუშაობდნენ, უსაქმურ ცხოვრებას ეწეოდნენ და ხშირად ლოთობდნენ.

1993 წლის 2 თებერვალს თ. მირესაშვილმა და გ. როსტიაშვილმა მოილაპარაკეს, რომ გაექურდათ თანასოფლელის, მარტოხელა მოხუცებულის სოლომონ სოლოღაშვილის ბინა. ღამით ისინი შეიჭრნენ მოხუცის ბინაში, გააღვიძეს იგი და მოსთხოვეს ფული. ს. სოლოღაშვილმა უკანასკნელი 2500 მანეთი გამოუტანა, რაც ბოროტმოქმედებმა იცოტავეს. თ. მირესაშვილი მოკვლით დაემუქრა მას, თუ იგი კიდევ არ გამოაჩენდა ფულს. ს. სოლოღაშვილი უხსნიდა, რომ ფული აღარ ჰქონდა, ევედრებოდა თ. მირესაშვილს თავი დაენებებინა, მაგრამ მან რამდენჯერმე დაარტყა მოხუცს ცული თავის არეში. სოლოღაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ამის შემდეგ თ. მირესაშვილმა და გ. როსტიაშვილმა წაიღეს მისი ბინიდან სხვადასხვა მატერიალური ფასეულობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სასამართლო კოლეგიამ გიორგი რუბენის ძე როსტიაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით, ქონების კონფისკაციით, ხოლო თეიმურაზ არსენის ძე მირესაშვილს განზრახ მკვლელობისათვის შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა.

უზენაესი სასამართლოს პრესცენტრი.

განაჩენი გამოტანილია

ამ დღეებში თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე 1973 წელს დაბადებული სერგო როსტიაშვილის მიმართ. 1993 წლის 20 თებერვალს, წინასწარ შეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით მან ორ პირთან ერთად, 150 ათასი ამერიკული დოლარის გამოძალვის მიზნით, გაიტაცა გაგრიდან ჩამოსული ლტოლვილი არასრულწლოვანი ს. ა.

როსტიაშვილმა და სხვა გამტაცებლებმა ვერ მიიღეს მოთხოვნილი 150 ათასი ამერიკული დოლარი და ბავშვი მხოლოდ 11 დღის შემდეგ გაანთავისუფლეს.

ჩადენილი დანაშაულისათვის როსტიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ხოლო სასჯელის მოხდის შემდეგ იგი ორი წლით გასახლებული იქნება თბილისიდან.

აღნიშნულ ფაქტზე საქინფორმის კორესპონდენტმა კომენტარი სთხოვა ამ საქმის გამომძიებელს, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს, იუსტიციის მრჩეველს ზურაბ ქურდაძეს.

— სამწუხაროდ, — თქვა მან, — რესპუბლიკაში განზრახ მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემდეგ ყველაზე უფრო გავრცელებული დანაშაულია ადამიანთა გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. ამ კატეგორიის საქმეთა გაუხსნელობას ხშირად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ დაზარალებულები გატაცების ფაქტებს არ აცნობებენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, „კანონიერი ქურდებისა" და შუამავალთა მეშვეობით საერთო ენას ნახულობენ გამტაცებლებთან. ამავე დროს დამნაშავე პირთა დაკავებისა და საქმის გამოძიების პროცესში ხშირად უკან მიაქვთ თავიანთი პირვანდელი ჩვენებები. ამიტომ გამტაცებლები დაუსჯელი რჩებიან, საზოგადოებრიობას კი უარყოფითი შეხედულებები უჩნდება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მიმართ. ვფიქრობ, ყოველივე ამის გამოსასწორებლად საჭიროა კანონმდებლობამ გაამკაცროს პასუხისმგებლობა და სასჯელი ამ კატეგორიის დაზარალებულთა მიმართ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ჭადრაკი

„ტაიმსის" მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ლონდონში გარი კასპაროვის ვადამდელი გამარჯვების შემდეგ შოუს უფრო წარმოადგენს — თანამედროვეობის № 1 მოჭადრაკე და მისი მეტოქე — ინგლისელი ნაიჯელ შორტი დარჩენილ პარტიებს დროის შეზღუდული კონტროლით თამაშობენ.

მოწინააღმდეგეთა გუშინწინდელი შეხვედრა 39-ე სვლაზე კასპაროვმა მოიგო.

მოკლედ...

თავისუფალი ჭიდაობა. 1978-1979 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საქართველოს პირადი პირველობა. თბილისი. 200-მდე მონაწილე. ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით: დ. გოგლიძეშვილი (ყვარელი), გ. ირემაძე (ქუთაისი), ც. შველიძე (ყვარელი), ო. თუშიშვილი (გორი), ვ. ალბერტაშვილი, გ. სულაძე (ორივე თბილისი), ა. კაპუსტინი (გორი), ტ. ბენდიანიშვილი, ზ. თედევე (ორივე თბილისი), ტ. გეგეშიძე (საგარეჯო), ვ. ჩერქეზიშვილი და ნ. პეტრიაშვილი (ორივე თბილისი). ტურნირის საუკეთესო მსაჯად დასახელეს თბილისელი ვანო გიგუაშვილი.

ჩოგანი

საცხენოსნო სპორტის კლასიკური სახეობები. საქართველოს პირადი ჩემპიონატი. თბილისი. 30-მდე მონაწილე. გამარჯვებულნი. კონკური „სამონადირეო პარკური". გელა ტატანაშვილი (განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლა). მას გადაეცა რესპუბლიკის პირველობის არაერთგზის პრიზიორის ვამეხ გაჩეჩილაძის ხსოვნის პრიზი. ორჭიდი (სამანეჟო სვლა და დაბრკოლებათა გადალახვა). ოთარ აბრამიძე (საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საცხენოსნო-სპორტული ბაზა). კონკური „საქართველოს თასი". ჯიმშერ ბერძენიშვილი (განათლების სამინისტროს ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლა). მას გადაეცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების განათლების სისტემაში პირველი და დღემდე ერთადერთი ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტსკოლის დამაარსებლის, პროფესორ ოთარ ქინქლაძის ხსოვნის პრიზი. დაბრკოლებათა გადალახვა „გაზსნის პრიზზე". ნიკოლოზ სალამიძე (საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საცხენოსნო-სპორტული ბაზა).

გოჩა ამირიძე.

ფეხბურთი

ესტონეთის ნაკრებმა სტუმრად ამხანაგური მატჩი მოუგო ლიხტენშტაინის გუნდს — 2:0 (0:0).

კოპენჰაგენში გაიმართა დანიისა და ესპანეთის ჩემპიონების — „კოპენჰაგენისა" და „ბარსელონას" ამხანაგური შეხვედრა. სანგარიშით 3:2 (1:1) გაიმარჯვეს სტუმრებმა.

გთავაზობთ ევროპის 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების შედეგებს: II ჯგუფი. თურქეთი-პოლონეთი — 1:0. IV ჯგუფი. ჩეხეთ-სლოვაკეთი-კვიპროსი — 2:0. VI ჯგუფი. ისრაელი-ავსტრია — 6:0.

გუშინ...

თბილისის ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დაიწყო საქართველოს ვაჟთა მე-3 ეროვნული ჩემპიონატი.

გთავაზობთ პირველი წრის პირველი ტურის პირველ შედეგებს „ა" ჯგუფში. „კაქტუსი" (ყოფილი „მართვე") — „ჯიქი" — 85:48, „ვითა" — „შევარდენი" — 108:63. ისვენებდა „მერანი".

დღეს ითამაშებენ: „კაქტუსი" — „შევარდენი" (14 საათზე), „ვითა" — „მერანი" (15 საათსა და 30 წუთზე). ისვენებს „ჯიქი".

ზრუნავენ დაჭრილებისთვის

იმ კრიტიკული სიტუაციის მიუხედავად, რომელშიც აღმოჩნდა თბილისის საბიუჯეტო ორგანიზაციების კვების კომბინატი, მისმა ხელმძღვანელობამ შეძლო დახმარება გაეწია აფხაზეთში დაჭრილებისა და ავადმყოფი ლტოლვილებისათვის, ქალაქის საავადმყოფოებსა და ჰოსპიტლებში რომ იმყოფებიან. მან უსასყიდლოდ გამოჰყო მათთვის 1000 კილოგრამი შაქარი და ამდენივე იმპორტული საბუტერბროდე მარგარინი.

ეს უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, კომბინატის დირექტორმა მალხაზ ირემაშვილმა.

— გარდა ამისა, — დასძინა მან, — ჩვენი კომბინატის კოლექტივმა და მისმა 10 ქვეგანაყოფმა 11 მილიონი კუპონი შეაგროვა აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებისათვის და ეს თანხა გადაეგზავნა ვაჭრობის სამმართველოს, რათა შემდგომ იგი დაურიგონ გაჭირვებულებს.

სასიხარულო ცნობა ზაარბრიუკენიდან

სასიხარულო ცნობა მოვიდა ზაარბრიუკენიდან. ამ ქალაქის ოპერის თეატრის სცენაზე დიდი წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა ქართველ მომღერალს, საერთაშორისო კონკურსის „ვერდის ხმების" პირველი პრემიის ლაურეატს ნაირა გლუნჩაძეს. მის მიერ შესრულებულ ლიუს პარტიას პუჩინის ოპერა „ტურანდოტში" მსმენელთა და სპეციალისტთა არაჩვეულებრივი შეფასება მოჰყვა.

ნაირა გლუნჩაძე ზაარბრიუკენის თეატრის სოლისტია — მასთან თეატრის ხელმძღვანელობამ ერთი წლით გააფორმა კონტრაქტი მოცარტის ოპერებში მონაწილეობისათვის, რადგან ჩათვალეს, რომ მომღერლის ლირიზმით აღსავსე ხმა კარგად შეესატყვისება კომპოზიტორის საოპერო ქმნილებებს. პუჩინის „ტურანდოტში" ქართველი ვოკალისტის გამოსვლა კი გაუთვალისწინებლად მოხდა: ნაირამ ორ კვირაში მოამზადა ლიუს პარტია და საორკესტრო რეპეტიციების გარეშე წარსდგა მსმენელთა წინაშე. და მით უფრო დასაფასებელია ის აღიარება, რაც მომღერალმა მოიპოვა. ნოემბერში იგი იმღერებს მიმის პარტიას ოპერაში „ბოჰემა".

არაერთი ქართველი ვოკალისტი ამშვენებს ახლა საზღვარგარეთის ოპერის თეატრის სცენას. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი პაატა ბურჭულაძის შემოქმედების უდიდესი წარმატება მსოფლიოს გამოჩენილ თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში, საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში. სხვათა შორის, ამ დღეებში პაატამ მონაწილეობა მიიღო ოდესის კონსერვატორიის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში, შემდეგ კი გამართა სოლო კონცერტი, რომლის შემოსავალი გადარიცხა მისი მასწავლებლის ევგენი ივანოვის ფონდში.

დიდი წარმატებით მოღვაწეობენ იტალიაში ქართველი მომღერლები ალა სიმონიშვილი და ნანა გორდაძე, იანო ალიბეგაშვილი კი მილანის „ლა-სკალას" სოლისტია. ბილბაოს თეატრის სცენაზე მღერის ეთერ ჭყონია, ხოლო ნატო ჭყონია — ბადენ-ბადენის ოპერის თეატრის სოლისტია.

ნინო გაბრიაძე.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

დაიწყო ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1994 წლის I ნახევრისათვის რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების პერიოდულ გამოცემებზე.

ხელმოწერა ჩატარდება მხოლოდ რუსული მანეთებით 6 თვის ვადით 1993 წლის 25 ნოემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1993 წლის 28 ოქტომბრიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	24,633.47	კუპონი
ავსტრიული შილინგი	3,195.39	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	54,540.31	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	10,074.64	კუპონი
გერმანული მარკა	21,823.24	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	19,446.42	კუპონი
დანიური კრონი	5,441.66	კუპონი
100 იტალიური ლირა	2,275.66	კუპონი
კანადური დოლარი	28,121.52	კუპონი
ნორვეგიული კრონი	5,023.71	კუპონი
აშშ დოლარი	36,783.00	კუპონი
ფინური მარკა	6,382.42	კუპონი
ფრანგული ფრანკი	6,266.72	კუპონი
შვედური კრონი	4,574.09	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	24,808.06	კუპონი
10 იაპონური იენი	3,388.12	კუპონი
ეკიუ.	41,300.21	კუპონი
10 ესპანური პესეტა	2,791.98	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	1,515.16	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	51,374.93	კუპონი
ისლანდიური კრონი	[illegible]	კუპონი
კუვეიტური დინარი	[illegible]	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	[illegible]	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	[illegible]	კუპონი
სინგაპურული დოლარი	23,419.85	კუპონი
10 თურქული ლირა	28.77	კუპონი
100 რუსული მანეთი	3050.00	კუპონი
ლიტვური ლიტი	8,782.78	კუპონი
ლატვიური ლატი	59,449.99	კუპონი
ესტონური კრონი	2,689.49	კუპონი
1000 უკრაინული კარბოვანეცი	1708.00	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ხსოვნა

ირაკლი ნემსაძე

კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა საზოგადოებამ — წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი მამულიშვილი, მთელი თბილისისთვის საყვარელი პიროვნება ირაკლი დავითის ძე ნემსაძე.

იგი თავის სათაყვანებელ თბილისში დაიბადა და ჩამოყალიბდა კოლორიტულ პიროვნებად და პატრიოტ მოქალაქედ.

ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ბატონი ირაკლი ნემსაძე იყო პირველი მოთავე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში მეცენატობისა და ბიზნესის აღორძინებისა, რომლის მცოდნეებსა და პრაქტიკულ შემსრულებლებს დღეს ასე სანთლით ვეძებთ... ეგრეთ წოდებული არალეგალური ბიზნესით მიღებულ მოგებას კი ბატონი ირაკლი მთლიანად ქართული ფეხბურთის აღზევებას ახმარდა. სამოციან წლებში საქართველოში ამ კაცზე ლეგენდები დადიოდა იმის შესახებ, თუ როგორ ჩამოიყვანა მან თბილისში გავრილ კაჩალინი, სლავა მეტრეველი, მიხეილ იაკუშინი. ალბათ, დაგვეთანხმებით, თუ ვიტყვით, რომ 1964 წელს თბილისის „დინამოს" ჩემპიონობაში მას საგრძნობი წვლილი მიუძღვის. გვიჭირს დაჯერება, რომ ველარ შევხვდებით მის მოხდენილ ფიგურას თბილისის ქუჩებში, სტადიონზე. იგი ხომ ყველა თბილისელის ჭირისუფალი და თანამდგომი იყო. მაგრამ რას ვიზამთ, ბედი ხომ ჩვენი თანამგზავრია. მშვიდობით, ბატონო ირაკლი, თქვენს სახელსა და კაცობას თბილისი არასოდეს დაივიწყებს.

მეგობრების ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკის ტექზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დეპარტამენტ „საქგაზის" თავმჯდომარის

კარლო ნიკოლაიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ რ/გ „საქმანქანის" გენერალური დირექტორის მოადგილეს ჯემალ აკაკის ძე ჩაჩიბაიას დედის

ქეთევან ტრიფონის ასული ჩაჩიბაიას

გარდაცვალების გამო.

საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

გივი კონსტანტინეს ძე ქუთათელაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფირმა **სტიპლერი**
Hewlett Packard—ის, IBM—ის, EPSON —ის, Rank Xerox —ის ოფიციალური დილერი —გთავაზობთ:
386DX და 386SX
კომპიუტერები.
Hewlett Packard LAZER JET 4 ლაზერული პრინტერი
Hewlett Packard SCAN JET II C ფერადი სკანერი და სხვა პრინტერები და სკანერები.
ფაქს-მოდემები, გამწმენდი დისკეტები, მონიტორის გამოსხივებისაგან დამცავი შუშის ფილტრები, ფაქსის ქაღალდი, პრინტერის კაბელები, 387DX და 387SX თანაპროცესორები, მონიპულატორი-თაგვი, ადაპტერები პრინტერის ერთდროულად 2 ან 4 პერსონალურ კომპიუტერთან შესაერთებლად, მეხსიერების ბლოკები ლაზერული პრინტერისათვის, LJ IIP, LJ IIP +, LJ IIIP, LJ III ლაზერული პრინტერების კერტრიჯები, Panasonic KX-F130 ფაქსი ავტომოპასუხით.
Truevision, Autodesk, Diaquest ფირმების კომპიუტერული სადგურები პროფესიონალური და საკაბელო ტელევიზიისათვის.
აგრეთვე შეგიძლიათ შეგვიკვეთოთ Hewlett Packard, Rank Xerox, IBM და სხვა ფირმების ნებისმიერი პროდუქცია.
ფირმა იძლევა გარანტიას
STEEPLER®
თბილისი, ვირსალაძის 8
ტელ. 99 77 12

ფირმა «ბუღალტერ-ექსპერტი»
აგრძელებს ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელი მორიგი ჯგუფის დაკომპლექტებას.
დაინტერესებული მსმენელები სწავლების დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად შესძლებენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას ფირმებში, კოოპერატივებში და მცირე საწარმოებში.
სწავლება იწარმოებს მიმდინარე წლის 3 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე.
დაინტერესებული პირები უნდა გამოცხადდნენ პეტრიაშვილის ქ. №7-ში, ქართული გიმნაზიის შენობაში 17-დან 19 საათამდე. ტელეფონი: 22-20-11.

განცხადება
შევისყიდით 25 სმ და მეტი სიგრძის ადამიანის თმას.
მისამართი: ქ. თბილისი,
ცენტრალური რკინიგზის სადგური, I სართული,
„თმის შემსყიდველი პუნქტი".
ვმუშაობთ ყოველდღე 12.00 — 17.00 დასვენება კვირას.

სიცოცხლის გზა, ჯოჯოხეთის გზა

სულ ახლახან გოდერძის უღელტეხილით აჭარაში მივემგზავრებოდი. ენით აუწერელია ის, რაც ამ გზაზე ვნახე და განვიცადე.

საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი მოვლენების გამო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ერთადერთ სასიცოცხლო არტერიად ის მეტად საშიში და კეთილმოუწყობელი საავტომობილო გზა დარჩა, რომელიც მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარა-გურიის მაღალ მთებზე, გოდერძის უღელტეხილზე გადის. ამ ტრასით სარგებლობს სომხეთის რესპუბლიკაც. პირველხარისხოვანი საავტომობილო მაგისტრალებისათვის განკუთვნილ „სუპერმაზებსა" და სხვადასხვა მარკის უნივერსალურ სატვირთო ავტომანქანებს ამ გზით გადააქვთ საქართველოსა და სომხეთისათვის ესოდენ აუცილებელი საწვავი, სხვა სასიცოცხლო ტვირთები. ამ გზით მოძრაობენ თურქეთის თუ საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების მგზავრებით დატვირთული „იკარუსები".

გვიანი შემოდგომაა, თუმცა უჩვეულოდ მზიანი, თბილი ამინდები დგას. ზღაპრული ბუნება, ცივი წყაროები... მაგრამ არც დროა და არც განწყობილება ამ სიმშვენიერით დასატკბობად. ყველა — ადგილობრივი მოსახლეობაც და მგზავრებიც შიშით არიან შეპყრობილი. ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გადავიდნენ და გადმოვიდნენ უღელტეხილზე, იარონ ან ჩაიარონ ადიგენის ტყეები, ახალციხისა და ბორჯომის გზა. ტყე სავსეა ყაჩაღებით, ძარცვავენ განურჩევლად ყველას, მტერსაც და მოყვარესაც, დიდსაც და პატარასაც. ერთი სიტყვით, დიდი შიშიანობაა, ირგვლივ მხოლოდ ბოროტების ზეიმია, ცოცხალი ჯოჯოხეთია...

მგზავრებს მხოლოდ ყაჩაღები და კეთილმოუწყობელი გზა როდი უმწარებენ სიცოცხლეს. გზაზე პოლიციასთან ერთად ათასი შეიარაღებული კანონიერი თუ უკანონო ფორმირებები დგას. ერთგან, რაღაც 50 მეტრის მანძილზე სამჯერ გაგვაჩერეს: ჩვენ სასაზღვრო ჯარებიდან ვართ და პასპორტებს ვამოწმებთო, ჩვენ, სამხედრო პოლიციას, ეგრეთწოდებულ „ომონს" ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი გვაინტერესებსო, სხვებს ტვირთების რაობა აინტერესებთ; საგზაო პოლიცია თავისი ტრადიციული საქმეებით არის გართული, თუმცა ამდენი სამხედროს გვერდით უსუსურად გამოიყურება. თავდაცვის სამინისტროსა და გვარდიის ხალხი იარაღის ამოღებით არიან დაკავებული, თუმცა ბევრს ვერაფერს ახერხებენ.

დასკვნის სახით, იმის თქმა შეიძლება, რომ ცალკეული გამონაკლისის გარდა, ყველას ფეშქაში, ქრთამი აინტერესებს, დიდი მოწადინება არ გინდა, ატომურ ბომბსაც გადაიტან, ოღონდ დოლარი გაიღე, ჯიბისკენ ხელის წაღება არ მოგერიდოს. თურქეთის მგზავრებს ბათუმიდან თბილისამდე თხუთმეტი ათასს პლუს თხუთმეტი ათას მანეთს (სულ ოცდაათი ათასს) ახდევინებენ. ბოლო თხუთმეტი ათასი „უსაფრთხო მგზავრობისათვის" — ყაჩაღებისა და წესრიგის „დამცველებისათვის" არის განკუთვნილი.

ამდენი სამხედროფორმიანი არსად, აფხაზეთშიც კი არ მინახავს. მე მგონი, ბევრი ქვეყნის არმიაში არ არის იმდენი სამხედრო მოსამსახურე, რამდენიც გზის ამ რაღაც ორასკილომეტრიან მონაკვეთზე „წესრიგს იცავს".

ადიგენის ტყეში ერთი, გიდელივით დაკიდულ და ბნელ გზაზე პირწმინდად გაძარცვული „ჟიგული" ვნახეთ. ცივ წყაროსთან სადღეღამისო პიკეტია, ერთი კილომეტრის მოშორებით კიდევ პიკეტია, თუმცა ყაჩაღებისათვის ესეც აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

„ყოველი ხის ძირში ყაჩაღიაო", მითხრეს ადგილობრივმა მწყემსებმა. ამ სიტყვების ჭეშმარიტება ბევრმა საკუთარ თავზე გამოსცადა უკვე.

ადიგენის რაიონის გამგებელსა და პროკურორს მიაჩნიათ, რომ ამჟამად რაიონის ყველაზე დიდ პრობლემას და გადაუდებელ ამოცანას, სწორედ, ტყიდან ყაჩაღების გამორეკვა წარმოადგენს. ამის გაკეთება შეიძლება, ოღონდ საჭირო ძალების მობილიზება არ ხერხდება ჯერჯერობით.

ადიგენის რაიონი, სოფელი ბენარა. ახლად ირიჟრაჟა. მშიერ-მწყურვალი, უძინარი, სიცივით გათოშილი მგზავრები ლამის არის ავტომანქანის რადიატორს აეკრან.

აქ ახალციხის ბატალიონის სპეციალური დანიშნულების საგუშაგო პიკეტობს. ახალციხელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ სამშობლოს სიყვარულით, თავგანწირვით, მოწესრიგებულობით. მათ აფხაზეთის ომშიც გამოიჩინეს თავი, ახლაც, საერთო ქაოსისა და ანარქიის ფონზე, ისინი, შედარებით ნორმალურად გამოიყურებიან.

მოპიკეტეებისაგან სახელდახელო ინტერვიუს აღებას ვცდილობ. შალვა გოგოლაძე თავდაცვის სამინისტროს უშიშროების სამმართველოს ახალციხის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებულია, კაპიტანი გოჩა გიორგაძე კი ახალციხის 22-ე ბრიგადის მე-6 ბატალიონის ასმეთაური.

— გამსახურდიას მომხრეები რომ გააქტიურდნენ, 22-ე ბრიგადის მეთაურის ვიცე-პოლკოვნიკ როინ კურტანიძის ბრძანებით, ძმათამკვლელი ომის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით გამოიყო ხალხი, ტექნიკა და ზეკარის უღელტეხილი გადავკეტეთ. მერე, შუღლი ნელნელა რომ გაღრმავდა და სამხრეთ საქართველოს საავტომობილო გზა სასიცოცხლო მნიშვნელობის სტრატეგიულ ტრასად იქცა, ზეკარით ბაღდათიდან ათობით შეიარაღებული პიროვნება, ყაჩაღი და მძარცველი შემოვიდა. მათ დაიწყეს თავდასხმები მგზავრებზე, ავტომანქანებზე, სოფლებზე. ამას წინათ ერთი სომეხი სასტიკად სცემეს, ტანსაცმელი გახადეს, ყველაფერი წაართვეს, „ნივა" გაუძარცვეს... ძარცვავენ ქალებს, მოხუცებს. მხედრიონელები ვართო, ამბობენ, ყველა შეიარაღებულია და ნარკოტიკებით არიან გაბრუებული.

ამ ადგილას შაბათს დავდექით. მოყვებიან ავტობუსებს გამცილებლები ვართო. რა გამცილებლები ეგენი არიან. ნარკოტიკებისაგან გაბრუებულები, თვალებს ძლივს ახელენ.

— რა გზა არსებობს მათ ასალაგმავად? — ვეკითხები მას.

— თუკი ეს რეგიონი უიარაღო ზონად გამოცხადდება, პოლიციის დახმარებით შევძლებთ წესრიგის დამყარებას. ხალხი შეშფოთებული, გაძარცვული და პატივაყრილია. სხვა გზა არ არის — ბოროტებას ბოროტებით უნდა ვებრძოლოთ. ამ საქმეში ადიგენის გამგებლისა და პროკურორის დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ. ერთი სიტყვით, მოგვეცეს იმის ნება, რომ სამცხე-ჯავახეთში იარაღიანი არ შემოვუშვათ. ესაა ჩემი სათქმელი.

დაახლოებით იგივე თქვეს, გოჩა გიორგაძემ და სპეციალური დანიშნულების საგუშაგოს უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მახარე ხმალაძემ.

— ბევრი სამხედროფორმიანიც ყაჩაღობს და სახელს გვიტეხს, — გულისტკივილით აღნიშნავს იგი.

ამ დღეს მთელ გზაზე იშვიათად ნახავდი უფორმო კაცს. ავტომანქანებიც ნაკლებად მოძრაობდნენ.

მესხეთ-ჯავახეთში ლამაზი შემოდგომა იდგა. მოსახლეობა ჭირნახულს აბინავებდა. უღელტეხილზე გაავდრების მაცნე ღრუბლები იკრიბებოდა.

ზაურ მაკარაძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, კოსტავას 89. ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА